გაზეთი ბოლოს, „ბოლოს" ერთი

ვერსია

60 თვეთრი №101 (1127) 12 - 13 ოქტომბერი, 2015 წელი

ოთხშაბათი პარასკევი

CERN-ის სამეცნიერო დირექტორი სერჯიო ბერტოლუჩი:

„საქართველოში კიბოს მკურნალობის ყველაზე პროგრესული მეთოდი დაინერგება"

„ბოზური საქციელი ცხოვრებაში არ გამიკეთებია და არც გავაკეთებ!"

გვ. 6-7

ვინ სთხოვდა 100 ათასის გადახდას, რატომ არ იკეთებს ცხვირის ოპერაციას და როგორ მოხვდა „ოცნებაში" დათო ღორთქიფანიძე

„კავკასუს ონლაინი" for.ge-ს 100 000 ლარს სთხოვს

გვ. 4

ზურაბ ადეიშვილის „იარაღი" ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ

რა შარში გახვია გენპროკურორმა თანაგუნდელი და რატომ არ დადო მსხვერპლმა კომპრომატები

გვ. 5 პატიმრის ღღიური

დიტო ველოვანი

გვარამია-მარგველაშვილი სიყვარული ეთერში

ის, რაც ცდებოდა წინა კვირაში

აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე საქართველოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასი ათასობით დოლარი ირიცხება

სიახლეები თიბისი ბანკის განახლებულ იპოთეკურ ცენტრში

როგორ უნდა ისარგებლოთ იპოთეკური სესხით და რა ტიპის ბინებზე გაიზარდა მოთხოვნა ბოლო დროს

დიტო გელოვანი

...კონსტანტინე ლორთქიფანიძე დასძენს: „გაწვევის მიზანი იყო, „გვყოლოდა მრავალრიცხოვანი ლაშქარი უპარტიო მწერლებთან საბრძოლველად“. დღევანდელმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მაშინდელი პოლემიკის ენაზე „უპარტიო მწერალი“ ნიშნავს ნამდვილ მწერალს. დასკვნა მკაფიოა: მწერალთა რიგებში მუშათა გამრავლებით უნდა მოეკლათ ნამდვილი მწერლობა. ნათლად არის გამოხატული მრწამსი. მწერლობა არ არის ნიჭიერება. არ არის აზროვნება. იგი არის პროპაგანდა. პროპაგანდა კი შეუძლია ყველას, ვინც იცის წერა-კითხვა და ესმის მოცემული დირექტივის აზრი და მიზანი. სიტყვაკაზმულ მწერლობას ენიჭებოდა სკკპ აგიტპუნქტის ფუნქცია.

(აკაკი ბაქრაძე, „მწერლობის მოთვინიერება“)

გვარამია-მარგველაშვილი — სიყვარული ეთერში

სხვა ამბებით ვაპირებდი დაწყებას, მაგრამ მე რომ ვბჭობ, ღმერთი იცინის, ვბჭობ — იცინის, ვბჭობ — იცინის... სულ ასე ხდება და ახლაც ასე მოხდა. პროლეტარულ მწერლებზე, პროლეტარულ ჟურნალისტებზე, პროლეტარულ უფლებადამცველებზე და ა.შ. მინდოდა (ახლაც მინდა) ორიოდე სიტყვის თქმა, მეგონა, ამ თემით დავიწყებდი, მაგრამ სულ ზევიდან სიცილი შემომესმა, შევხედე ნიუსს, მეც გამეცინა და ვიცი, თქვენც გაგეცინებათ:

„სახალხო დამცველის აპარატმა, ზუგდიდში, ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის — „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერება“ მხარდაჭერით, ჟურნალისტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის ტრენინგი გამართა. სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, გენდერული საკითხებისა და ჟურნალისტური ეთიკის გაშუქების თემაზე გამართულ ტრენინგზე განიხილეს გენდერული თანასწორობის, სექსიზმის, სტერეოტიპული დამოკიდებულებისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხები. დისკუსია გაიმართა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გაშუქების სენსიტიურობასა და პრინციპებზე. ორდღიან ტრენინგს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ეკატერინე სხილაძე და მედიაექსპერტი ზვიად ქორიძე უძღვებოდნენ. ტრენინგს 20-ზე მეტი რეგიონული მედიის, გამგეობებისა და საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი დაესწრო. სახალხო დამცველისა და ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოს ერთობლივი პროექტით სამეგრელოს რეგიონში სხვადასხვა ჯგუფებისთვის ადამიანის უფლებების თემასა და დისკრიმინაციაზე კიდევ რამდენიმე ტრენინგია დაგეგმილი, რომელიც წლის განმავლობაში ჩატარდება“.

ჰა, რავარია? ხომ არის გოჭივით? ორდღიანი ტრენინგი გენდერული თანასწორობის, სექსიზმის, სტერეოტიპული დამოკიდებულებისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხებზე! სენსიტიურობა და პრინციპები! ეკატერინე სხილაძე და ზვიად ქორიძე! და, რაც მთავარია, „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერება“!!!

მრავალძახილი, მრავალწერტილი და ქებათა-ქება ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოს. რომ არა იგი, სახალხო დამცველის ოფისი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი იქნებოდა ჩამკვდარი და უსიცოცხლო. რომ არა ეს საელჩო, ვის ეცოდინებოდა გენდერი, სექსიზმი და დისკრიმინაცია? ვინ შეიგრძნობდა ამ საკითხების მოკრძალებულ და სენსიტიურ ხიბლს და, საერთოდაც, იქნებოდა კი, ჟურნალისტური ეთიკა და სოციალური სამართლიანობა, კანონის უზენაესობა და ტოლერანტობა? თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ არ იქნებოდა ხალხი და ვიღას რაში დასჭირდებოდა სახალხო დამცველი? არ იქნებოდა მედია და, გაფიქრებაც კი მზარავს, რომ არ იქნებოდნენ მედიაექსპერტები, თავად სიტყვა „ექსპერტიც“ კი არ იქნებოდა. იქნებოდა უსტაბაში ან მედიაუსტაბაში. თუ მედიას უსტაბაში ჰყავს, ეს უკვე მედია არ არის, ეს არის მამაძაღლობა და თავის აგდება, ხელობაა, ხელოსნობა, „იყიდე-გაყიდე“ და „გიყიდი, გიყიდი“, თუნდაც ფაჩუჩებს და „დაგიკოცნი“, თუნდაც, მაგ ტუჩებს.

ბულგარეთის ელჩი სიცილით იხევა, ხოლო საელჩოს მერომელიღაცა მდივანი, ფურშეტზე, ელარჯით ხელში, ცდილობს, სერიოზული სახე შეინარჩუნოს და ირწმუნება, რომ აღნიშნულმა ორდღიანმა ტრენინგმა კიდევ უფრო გააძლიერა საქართველოს მიერ ევროკავშირის კარზე ატეხილი კაკუნი, რომელიც მალე ბრახუნში გადაიზრდება, ვითარცა ხანგრძლივი, მქუხარე ტაში ოვაციებში.

ბ-ნ (თუ ქ-ნ) მერომელიღაცა მდივანს მინდა შევახსენო, რომ ბრახუნიდან დედის გინებამდე („გააღეთ, გააღეთ, თქვენი...“) ზუსტად იმდენივე ნაბიჯია, რამდენიც დიადიდან სასაცილომდე.

ანუ — ერთი.

ჩვენ სულაც არ გვჭირდება იმის შეხსენება, რომ სულ რაღაც ერთი ნაბიჯი და ერთი წამი გვაშორებს წარსულს, სადაც იყო პროლეტარული მწერლობა, პროლეტარული მხატვრობა, პროლეტარული კინო და თეატრი, ანუ ვიღაცის მიერ დანიშნული მწერლები, პოეტები, მხატვრები და მსახიობები. ეს ერთი ნაბიჯი იმას ნიშნავს, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხლობს და, ღმერთმა დაგვიფაროს, ამოხეთქავს, თუ კაკუნი ბრახუნში, ხოლო ბრახუნი დედის გინებაში გადაიზრდება.

შემთხვევით არ დამიწყია ამ რაღაცის წერა აკაკი ბაქრაძის ციტირებით. ჩართავ ტელევიზორს, გადაშლი გაზეთს, შეხვალ ინტერნეტში და მუდმივად თვალში გეჩხირებიან ვიღაცის მიერ ჟურნალისტებად, უფლებადამცველებად და ექსპერტებად დანიშნული ვიგინდარები, აგერ, სულ ახლახან რომ მიიღეს დავალებად „შენ დღეიდან ევროპულ ფასეულობებზე ილაპარაკებ, შენ რუსეთს შეიზიზღებ, შენ ადამიანის უფლებებს დაიცავ, შენ უკრაინელ გმირებს ადიდებ... დღეს საქართველო და ქართველები უნდა გიყვარდეთ, მაგრამ არ გაგიკვირდეთ, თუ ხვალ საწინააღმდეგოს მტკიცება მოგიწევთ. თუ არა და, თქვენი დედები ატყდებიან, თქვენს მამებს მოშივდებათ“.

ეს კი სწორედ ის არის, რაც იმ ბნელ წლებში იყო — ფსევდოთი ნაღდის ჩაკვლა.

ე, ბიჭო, ევროპავ, გაგვიღე კარი და შეგვიშვი, ანაც შენ შემოდი, ჩვენი კარი სულ ღიაა, მაგრამ ვაი, რომ სულ კომკავშირლები მიდი-მოდიან და გადი-გამოდიან.

ზვიად ქორიძის გატანილს და ბულგარეთის საელჩოს მერომელიღაცა მდივნის შემოტანილს რომ გაუარ-გამოუარა არმაგედონის ზანგმა.

ევროპა სულაც არ არის ის, აქაური ენჯეოშნიკი თავს რომ გაყოფს და მერე რომ გვიყვება. არც ის არის, მისი რომელიმე დონორი (აქ უწმაწურმა აზრმა გამიელვა) რომ შემოყოფს თავს და გვამუნათებს. არც ჩვენ ვართ ის ხალხი, როგორადაც ენჯეოშნიკები და მათი დონორები იქ წარმოგვაჩენენ და, საერთოდ, კომუნისტების დროს რომ ხუმრობდნენ „გვეყო მსოფლიოსთვის სენკევიჩის თვალით ყურება“-ო, ახლა სრული სერიოზულობით და ხმამაღლა უნდა ვთქვათ, რომ არ გვსურს, ევროპაში ჩვენი მიღება-არმიღება ენჯეოშნიკების(თვის) შეყოფა-გამოყოფაზე იყოს დამოკიდებული. ვისაც სურს და... სხვა. ამ „სხვა“-შია მთელი სკაბრეზულ-სენსიტიური კვინტესენცია.

მაგარი ავთენტურ-ადეკვატური აზრი დავაბრეხვე.

მაგრამ ეს აზრი რა მოსატანია იმ აზრთან, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა რომ ისროლა ერ2-ის ეთერში — „იმედის“ დახურვას გადაჰყვა საქართველოს მაშინ ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ფიგურის, საქართველოს პრეზიდენტის ვადა და პრეზიდენტ სააკაშვილი იყო იძულებული იმიტომ, რომ მედიის საკითხები იქნა ხელშეხებული, ის გახდა იძულებული, გადამდგარიყო. მჯერა, რომ ეს მეხსიერება პოლიტიკოსებში არის. ჩვენთვის, პოლიტიკოსებისთვის, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკოსებისთვის, რომლებსაც სწორედ ჩვენი დემოკრატიულობის განხორციელება და საზოგადოებასთან ურთიერთობა ამ და სხვა ეთერებით შეგვიძლია, ეს ღირებულება უნდა დაფიქსირდეს. კომპანიას და მაუწყებელს საქმიანობაში პრობლემები არ უნდა გაუჩნდეს“.

მიუხედავად იმისა, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტია, მე კი პურის რიგში გარდაცვლილი თერაპევტი, მინდა, მას შევახსენო, რომ სააკაშვილის „ვადა გადაჰყვა“ მანამ, სანამ „იმედს“ დახურავდნენ, რადგან სანამ დახურავდნენ — დაარბიეს, დაამსხვრიეს და გაანადგურეს, ასევე — კი არ გადაჰყვა, უბრალოდ, გადადგა და, თან, კი არ გადადგა, ამერიკის ელჩმა გადააყენა და ვადის გადაყოლაც სისულელეა, რადგან ვადამდელი არჩევნებით ვადა გაიხანგრძლივა, არჩევნები კი — გააყალბა და ყველაფერ ამას კი არ აშუქებდა, არამედ აბნელებდა და ცდილობდა, ლამაზად შეეფუთა ერ2, მაგრამ ლამაზად არ გამოუდიოდა — დირექტივები გენპროკურორის მოადგილისგან, ნიკა გვარამიასგან მოდიოდა, ნიკა გვარამიასთვის კი სილამაზე ნოდარ მელაძით იწყება და გიორგი ჯ. გაბუნიათი მთავრდება.

ეროსი კიწმარიშვილის მონათხრობს გავიხსენებ. მის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ვსაუბრობდით: „ერთმა ცნობილმა ალპინისტმა მომიყვა. 80-იანების ბოლოს ქართული ექსპედიცია პამირში ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის დასაპყრობად ემზადებოდა. ექსპედიციის შემადგენლობაში მარგველაშვილიც იყო. ჰიმალაებში ჩვენ ვინ გაგვიშვებდა, პამირი იყო „პატალოკი“. ჰოდა, დილით მწვერვალის შტურმი რომ უნდა დაგვეწყო, მარგველაშვილმა მოულოდნელად განაცხადა, ერთი ალპინიზმის დედაცო, ზურგჩანთა ჩაალაგა და თბილისში დაბრუნდა“.

ეს ამბავი ცხონებულმა ეროსიმ მიამბო და დასძინა: „ახლა, შენ რომ მადრიდში იყო, ხვალ „რეალი-ბარსელონა“ თამაშობენ, „ბერნაბეუს“ ბილეთი ჯიბეში გიდევს და უცებ რომ თქვა, ერთი, ფეხბურთის დედაცო და თბილისში გამოფრინდე... არ არის მარგველაშვილი ის კაცი, ინიციატივა აიღოს, ვინმეს მკვეთრად დაუპირისპირდეს. სათავისო კაცია. ჩაამთავრებს ვადას და დაუბრუნდება ფილოსოფიას“.

აზერბაიჯანულ რესტორანში ვისხედით, ცხვრის ქაბაბს შევექცეოდით და ვიღაც-ვიღაცებს იარლიყებს ვაწებებდით. ზოგს ვირისას, ზოგს ღორისას, ზოგსაც ქათმისას. ეს ამბავი ეროსიმ მას შემდეგ გაიხსენა, რაც ვუთხარი, ნახავ, მარგველა საკუთარ თამაშს წამოიწყებს-მეთქი. არ დამეთანხმა, ხოლო მე ისევ იმ აზრზე, ვრჩები კი არა და, რაც დრო გადის, უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ რაც დრო გავა, მარგველაშვილის გარშემო მოიყრიან თავს ყოფილი ნაცები, ყოფილი ქოცები, დედალ-მამალი ენჯეოშნიკები, მედიაექსპერტები (ასევე დედალ-მამლები), ილიაუნის ლექტორები და, რა თქმა უნდა, წვრილ-წვრილი პოლიტიკური დაჯგუფებების დასუქებული მეთაურები. ყველანი კონჩიტები, ოღონდ ფრენკ ზაპპას ნიღბით.

ფილოსოფოსი, მე, კასრში ვიცი, იმპერატორს გვერდით რომ გაწევს, მზეს ნუ ეფარებიო.

ბიძოს რომ ეთქვა, საქართველო ბაბუაჩემ ასლან სუთიძის გაკეთებულ ტაბურეტკასაც აირჩევდა პრეზიდენტად, მაგრამ ნანა ყეენიშვილს, გუგული მაღრაძეს და სხვებს, ბევრს, ქოცშემადგენლობის ლამის 80 პროცენტსაც იგივეს ვეტყვი — ბიძოს რომ მოენდომებინა, ტაბურეტკებსაც აირჩევდნენ პარლამენტში.

პოლიტიკა ისედაც ბინძური რამ არის, ბინძური ხალხი კი უფრო მეტად აბინძურებს.

„ნინო ბურჯანაძე: განსხვავებით „ქართული ოცნებისგან“, დამნაშავე ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობას არ ვაპირებთ“, — ამ ნიუსმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ასეთი სათაურების შემდეგ ვუსვამ საკუთარ თავს კითხვას — მე მაქვს სკლეროზი თუ მაგათ? ახლაც იგივე მოხდა, ვეცი ინტერნეტს, საძიებო სისტემაში ჩავწერე ნინო ბურჯანაძე, კორტების სპეცოპერაცია, აქციების დარბევა, ტელევიზიების დახურვა, ბიზნესის დატერორება, წილების გადანაწილება... მოკლედ, ერთის მხრივ — ნინო ბურჯანაძე, მეორეს მხრივ — ნაცების გოთვერნობა და ჩათლახობა.

საძიებო სისტემამ შემახსენა, რომ ნაცებს ბურჯანაძის გადადგომამდე თითქმის იმდენივე აქვთ ნაჩათლახარი, რამდენიც ბურჯანაძის გადადგომის შემდეგ.

იმიტომაც არის, 26 მაისს ხშირ-ხშირად რომ იხსენებს, 7 ნოემბრის შეხსენებაზე კი მორცხვად იღიმება და ისევ 26 მაისზე საუბრობს.

ეჰ... დამოუკიდებლობა რომ არა, მხოლოდ 7 ნოემბერზე ისაუბრებდა: „მოაბიჯებენ გლდანის რაიონის მშრომელები. მათ წინ მოუძღვის წითელი დროშის ორდენის კავალრები და ლენინური პრემიის ლაურეატები დავით გოგიბედაშვილი, სტეფანე მღებრიშვილი და ხათუნა გოგორიშვილი. მოაბიჯებს სოციალისტური შრომის გმირი, ცნობილი ასენიზატორი ნუგზარ წიკლაური, რომელმაც ხუთწლედის გეგმა ორ წელიწადში შეასრულა. მას გვერდს უმშვენებენ ახალგაზრდა ასენიზატორები ნიკა გვარამია, გიორგი გაბუნია და ნოდარ მელაძე. კომკავშირმა სათანადოდ დააფასა ახალგაზრდა ასენიზატორთა თავდადება და მათ გლდანის რაიონში საერთო ბინა გამოუყო...“

მაგარი ნიუსები იქნებოდა... აბა, ეს არის ნიუსი? – „თესლის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლებს თესლის ჯიშობრივი ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ“. ანაც ეს: „მომღერალმა სტეფანე მღებრიშვილმა იგივე სტიოპამ, ოდესის ერთ-ერთ სასტუმროში, გუბერნატორისგან შეთავაზება მიიღო. სტეფანემ უკრაინული კულტურა უნდა გადაარჩინოს! საქართველოს ექსლიდერმა მუსიკოსს მოსაფიქრებლად დრო მისცა და საამისოდ საკმაოდ კარგი გარემო პირობების შექმნა აღუთქვა“.

ასეთ ამბებს — სააკაშვილს ოდესაში რომ აკითხავენ — ხშირ-ხშირად ვეცნობი, თუ პრესით და თუ სოციალური ქსელით. აგერ, გასულ კვირაში კიდევ ერთმა ხელოვანმა, ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, დავით გოგიბედაშვილმა დატოვა საქართველო და დიდი ალბათობით, ისიც ოდესაში წავა. კიდევ ბევრს გავიგებთ, ბევრი წავა და ბევრი მიაკითხავს „სააკაშვილს და კომპანიას“ იქ და იმაში და სწორედ მაშინ იქნება მომენტი, რომ ხელმეორედ გავრცელდეს ნიუსი, რომელიც ზემოთ გაგაცანით: „თესლის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლებს თესლის ჯიშობრივი ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ“.

მანამდე კი... მანამდე ამით დატკბით: „გაერო-ს გენერალური ასამბლეის ყოფილი პრეზიდენტი ჯონ ეში ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. როგორც „ბიბისი“ იტყობინება, მან ჩინელი ბიზნესმენებისგან ჯამში 1,3 მილიონი აშშ დოლარის თანხა აიღო, სანაცვლოდ კი, თანამდებობრივი სტატუსის გამოყენებით, მათთვის სასურველი ინვესტიციების მოზიდვასა და კონტრაქტების გაფორმებაში ეხმარებოდა. თანხის გარდა, ჯონ ეშმა „როლექსის“ საათი და ძვირადღირებული ავტომობილი მიიღო, მისი სახლის ტერიტორიაზე კი 30 000 დოლარის ღირებულების საკალათბურთო მოედანი ააშენეს“ და „რომის მერი ინიაციო მარინო საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ბრალდების გამო გადადგა. ამის შესახებ „ბიბისი“ იტყობინება. მერის განცხადებაში ნათქვამია, რომ მან აღნიშნული გადაწყვეტილება „ქალაქის ინტერესების გამო“ მიიღო. ბრალდების თანახმად, ინიაციო მარინო მუნიციპალიტეტის კუთვნილ თანხებს პირადი მიზნებისთვის იყენებდა“.

აი, ეს არის ამბები და ეს არის ევროპა, თორემ „თავისუფლება გიგი უგულავას“ არის კვერცხობა და ამ კვერცხობით არიან დაკავებულები ენჯეო-მწერლები, ენჯეო-ჟურნალისტები, ენჯეო-მსახიობები, ენჯეო-პოლიტიკოსები, ენჯეო-უფლებადამცველები და მედიაექსპერტები, ანუ მედიაუსტაბაშები — ლიბერალ-ნაცპროლეტარიატი.

ჩვენთან სტუმრად არის უსტაბაში.

სტუმარი ღვთისაა, ოღონდ არა ასეთი და არა ასეთები.

გ.დ. (გაჩერებული დრო) არის დრო, როცა მთელი ერი მიეცემა სასოწარკვეთილებას, აღარავის ჯერა სამართლიანობის, პატიოსნების, კეთილსინდისიერების და მხოლოდ საკუთარ ტყავს უფრთხილდება ადამიანი. ასეთია კომუნისტების დიქტატურის ეპოქა. ამ ეპოქაში გაბატონებულმა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ჩამოაყალიბა მწერლის ახალი ტიპი — მწერალი-ფლუგერი, რომელიც პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებს და ცხოვრობს დევიზით — ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

(აკაკი ბაქრაძე, „მწერლობის მოთვინიერება“)

CERN-ის სამეცნიერო დირექტორი სერჯიო ბერტოლუჩი: „საქართველოში კიბოს მკურნალობის ყველაზე პროგრესული მეთოდი დაინერგება“

რატი ლაცაბიძე

საქართველოში ტექნოლოგიური ინსტიტუტის და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის პროექტის განხორციელების პროცესში მონაწილეობას მსოფლიო დონის მეცნიერები მიიღებენ. ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაფუძნებისა და განვითარების სფეროში, ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციასთან (CERN), იტალიის ონკოლოგიური ადრონული თერაპიის ეროვნულ ცენტრსა (CNAO) და ბირთვული ფიზიკის ეროვნულ ინსტიტუტთან (INFN) ითანამშრომლებს. ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის კვლევებისა და სამეცნიერო-კომპიუტერული დირექტორი სერჯიო ბერტოლუჩი, CERN-ის საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის მრჩეველი ქრისტოფ შეფერი, იტალიის ონკოლოგიური ადრონული თერაპიის ეროვნული ცენტრის გენერალური მენეჯერი და ტექნიკური დირექტორი სანდრო როსი და ბირთვული ფიზიკის ეროვნული ინსტიტუტის პრეზიდენტი ფერნანდო ფერონი, საქართველოში სპეციალურად ამ მიზნით ჩამოვიდნენ.

სერჯიო ბერტოლუჩი არის სამეცნიერო ხარისხის მფლობელი ფიზიკაში, წლების განმავლობაში მუშაობდა ექსპერიმენტული ნაწილაკების ფიზიკის სფეროში გერმანიის, აშშ-სა და იტალიის მსოფლიო დონის ლაბორატორიებში, ასევე იყო იტალიის ბირთვული ფიზიკის ეროვნული ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი;

სანდრო როსი პროფესიით ფიზიკოსია; 2003 წლიდან კოორდინაციას უწევდა იტალიის ონკოლოგიური ადრონული თერაპიის ეროვნული პაციენტების სამკურნალო ინსტრუმენტების დიზაინის შექმნასა და ამუშავებას. ცენტრმა დღემდე ასობით პაციენტს უმკურნალა, რომლებსაც პოზიტიური შედეგები აქვთ. ამ ინოვაციური პროექტის ღირებულება 170 მილიონ ევროს აჭარბებს და მისთვის საჭირო კომპონენტების შექმნაში 600-ზე მეტმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. სანდრო როსის, კარიერის მანძილზე, გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი.

რომის „ლა საპიენსას“ უნივერსიტეტის პროფესორი ფერნანდო ფერონი ბირთვულ სფეროში არაერთი მნიშვნელოვანი ექსპერიმენტული კვლევის ავტორია; წლების განმავლობაში იყო სხვადასხვა ქვეყნის მსოფლიო დონის ლაბორატორიების სამეცნიერო კომიტეტების წევრი;

ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის CERN-ის სამეცნიერო დირექტორი სერჯიო ბერტოლუჩი აღნიშნავს, რომ პროექტის განხორციელების შედეგად საქართველოში დანერგილი იქნება კიბოს მკურნალობის ყველაზე პროგრესული მეთოდი. ერთდროულად განხორციელდება კვლევები, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობა და განათლების ხელშეწყობა. მნიშვნელოვნად გაიზრდება ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები და ცენტრის მიმართ მეზობელი ქვეყნების დაინტერესება.

— ჩვენი ინფორმაციით, ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებამდე ჩამოყალიბდება სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი. რას ითვალისწინებს ეს ცენტრი და როგორი იქნება მისი საქმიანობა?

სერჯიო ბერტოლუჩი: ეს მრავალფუნქციური ცენტრი მოგვცემს საქმიანობის ახლებური გზებით წარმართვის შესაძლებლობას. დაარსდება უმაღლესი დონის ახალი ცენტრი და ლაბორატორია. ეს ხელს შეუწყობს განათლების დონის ამაღლებას საქართველოში და გრძელვადიან ჭრილში გაზრდის ინოვაციების პოტენციალს ინდუსტრიასა და, ზოგადად, საზოგადოებაში. ამავე დროს, დანერგილი იქნება კიბოს მკურნალობის ყველაზე პროგრესული მეთოდი. კვლევები, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობა და განათლების ხელშეწყობა განხორციელდება ერთდროულად. ამ ცენტრს ვერ განვიხილავთ მხოლოდ ერთი კუთხით, რადგან ამ განსაკუთრებული და გაბედული ინიციატივის წარმატება გულისხმობს საქართველოსთვის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფას. მომავალი კი დამოკიდებულია ახალგაზრდობის ცოდნა-განათლებაზე, რასაც ემსახურება კიდეც ჩვენი პროექტი. ამ პროექტის განხორციელების წყალობით, საქართველო გახდება ერთ-ერთი იმ ოთხ ქვეყანას შორის, სადაც ასეთი საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობა არსებობს. ეს კი მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის შესაძლებლობებს ინვესტიციების მოზიდვის, მეზობელი ქვეყნების დაინტერესებისა და, ცენტრში ცოდნისა და უნარების მიღების შემდეგ, ახალგაზრდებისთვის ინოვაციების შექმნის შესაძლებლობის მიცემის თვალსაზრისით. ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა, რომ ამ მხრივ შეგვიძლია დაგეხმაროთ. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ საქართველო მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებს მომავალში.

— რა ფორმით დაეხმარება CERN, CNAO, INFN საქართველოს პროექტის განხორციელებაში და რას ითვალისწინებს თანამშრომლობა?

— ამ პროექტის წარმატებას უზრუნველყოფს ის, რომ ყველაფრის თავიდან, ნულიდან დაწყების ნაცვლად, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ იმ ადამიანების გამოცდილების გამოყენება, რომლებმაც უკვე განახორციელეს მსგავსი საქმიანობა, და მათთან ერთად კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწიოთ წინ წარმატებისკენ. ასე რომ, CERN, INFN და CNAO ითანამშრომლებენ საქართველოსთან, მიაწოდებენ მას ინფრასტრუქტურას, გაუზიარებენ ტექნოლოგიურ ცოდნას, დაეხმარებიან პროექტის განხორციელების პროცესში. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ წარმატება თავისით არ მოვა. წარმატებას უნდა მივაღწიოთ აქ და ერთად.

— გაფორმდა განზრახულობათა ოქმი, ქართული მხრიდან მას ხელი მოაწერა პრემიერმა და უცხოელმა მეცნიერებმა. ვინ არიან ეს მეცნიერები?

— CERN არის ფუნდამენტური მეცნიერებების ყველაზე მსხვილი კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც ჰყავს დაახლოებით 4 000 თანამშრომელი და თავს უყრის 11 000 მეცნიერს მსოფლიო მასშტაბით. ასე რომ, საკმაოდ დიდ ლაბორატორიას წარმოვადგენთ. ამ პროექტზე იმუშავებენ სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება, რადგან პირველი ასეთი პროექტი სწორედ CERN-ში შეიქმნა, დაახლოებით 15 წლის წინ. ჩვენ გვაქვს შესაბამისი სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი ტექნოლოგიები, რომელთა მიწოდებასაც თავად უზრუნველვყოფთ. ჩვენ ხელს შევუწყობთ საქართველოს და ვითანამშრომლებთ მასთან სამშენებლო პროექტის შექმნის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ყველა ეტაპზე.

— ტექნოლოგიური ინსტიტუტის და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის პროექტის ღირებულება რა არის?

— პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ გლობალური ინვესტიციების ოდენობა ამ პროექტში შეადგენს 500 მილიონ ევროს, რაც მოხმარდება არა მხოლოდ ამ კონკრეტულ ცენტრს, არამედ დიდწილად განათლების სფეროსაც. პროექტი საკმაოდ ფართომასშტაბიანია. მისმა შედეგებმა შეიძლება მყისიერად არ იჩინოს თავი. მეორე მხრივ, სწრაფი შედეგი იქნება ის, რომ ჩვენ ჩავრთავთ დიდი რაოდენობის რესურსს ამ საქმეში, რასაც უმალ ექნება დადებითი გავლენა საზოგადოებაზე. მაგალითად, საქმიანობაში ჩაერთვება საქართველოს მრეწველობის სექტორი, რის შედეგადაც გაიზრდება მისი შესაძლებლობები არა მხოლოდ ამ პროექტის, არამედ სხვა სახის საქმიანობის ფარგლებში. რომ შევაჯამოთ, ეს არის საკმაოდ ფართომასშტაბიანი და ამბიციური ინიციატივა. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ საქართველოში გაცნობიერებული აქვთ — ქვეყნის მომავალი დამოკიდებულია განათლებასა და ინოვაციებზე და რომ სწორედ ეს არის ერთადერთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს მდგრად მომავალს და ყველა მოქალაქის ცხოვრების დონის ამაღლებას.

— რომელი ქვეყნების გამოცდილებას გამოიყენებთ პროგრამის შემუშავებაში?

— მაგალითად, იტალიაში (და იტალიური პროექტის ხელმძღვანელი დაადასტურებს ჩემს სიტყვებს) ამ პროექტმა გაამართლა ისევე, როგორც ავსტრიასა და გერმანიაში. გარდა ამისა, კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი პროექტი ხორციელდება იაპონიაში. იაპონიამ პირველმა დაიწყო ასეთი სახის საქმიანობის განხორციელება. ხსენებული პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს ათასობით ადამიანის მკურნალობა კიბოსგან. სანამ მეთოდს გამოვიყენებთ ადამიანებზე, აუცილებელია შესაბამისი ტესტების ჩატარება დანადგარების გამოყენებით. სწორედ ამით დაიწყო CNAO-მ იტალიაში, მისი კლინიკური ნაწილი, მაგრამ ამოქმედებიდან ერთი წლის შემდეგ 650 ადამიანმა გაიარა მკურნალობა და ეს რიცხვი დღითიდღე იზრდება. და სიმსივნის ზოგიერთი ტიპი, რომელიც იკურნება ჩვენი მეთოდით, არ ექვემდებარება მკურნალობას ქიმიოთერაპიის თუ ტრადიციული გამოსხივების მეთოდების მეშვეობით. ვგულისხმობ რადიაციის გამძლე სიმსივნის ტიპებს. ნახშირბადის იონის მეთოდის წარმატების ხარისხი ბევრად მაღალია ყველა დანარჩენ მეთოდზე. ძალიან სასარგებლოა მეცნიერებისა და კვლევის შეჯერება და გამოყენება, რის შედეგადაც უმალ გვაქვს საზოგადოებისთვის სასარგებლო შედეგები.

— რა ფაზაშია ამჟამად პროექტზე მუშაობა?

— პროექტის განხორციელების ამ ეტაპზე ხელი მოვაწერეთ ხსენებულ მემორანდუმს. მონახაზისთვის სასარგებლო იქნება სხვა პროექტების მონახაზებთან დაკავშირებული გამოცდილების გათვალისწინება. მომდევნო თვეებში შეიქმნება საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც ხორცს შეასხამს ამ პროექტს აქ, საქართველოში.

იტალიის ონკოლოგიური ადრონული თერაპიის ეროვნული ცენტრის გენერალური მენეჯერის, სანდრო როსის თქმით, პროექტის განხორციელება იტალიურ ჯგუფთან, CERN და INFN-თან ერთად არის წარმატების საწინდარი, რადგანაც ის იძლევა უკვე არსებული გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას.

— რას ითვალისწინებს სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის საქმიანობა და რით გამოირჩევა მეთოდი, რომელიც საქართველოში დაინერგება?

სანდრო როსი: ეს მეთოდი გამორჩეულია და იყენებს ჩვენს ცენტრში შექმნილ სხივებს, რომლებიც ზედმიწევნითი სიზუსტით გამოირჩევა. ეს გულისხმობს, რომ შესაძლებელია სიმსივნის უჯრედების მიზანში ამოღება გარშემო მყოფი ქსოვილების დაზიანების გარეშე, რაც უმნიშვნელოვანესია, როცა საქმე გვაქვს ტვინის, ხერხემლისა და სხვა კრიტიკული ორგანოების სიმსივნეებთან. ანუ, ვუმიზნებთ მხოლოდ სიმსივნეს, აღმოვფხვრით მას და არ ვეხებით მის გარშემო მყოფ ქსოვილებს. გარდა ამისა, ნახშირბადის იონები იძლევა სიმსივნის ისეთი სახეების მკურნალობის შესაძლებლობას, რომლებიც არ ექვემდებარება ტრადიციულ მკურნალობას, ანუ უძლებს რადიაციას. ეს აიხსნება იმით, რომ ნახშირბადის იონები ძალიან ეფექტურია, მათში თავმოყრილია ენერგიის დიდი ოდენობა. ეს ენერგია უტევს ადგილებს, სადაც თავმოყრილია სიმსივნე. ერთი სიტყვით, იონები წვავენ სიმსივნეს.

— რამდენ ხანშია შესაძლებელი პროექტის განხორციელება?

— ასეთი ცენტრის აშენებას დასჭირდება დაახლოებით 5-6 წელი, რადგან აუცილებელია დეტალური პროექტის შექმნა, სხვადასხვა სისტემის გამიჯვნა, აშენება და შემდეგ მათი თავმოყრა ერთიან კომპლექსში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთიანი, ინტეგრირებული ფუნქციონირება. ეს საკმაოდ დიდი გამოწვევაა: განსხვავებული ტექნოლოგიების ერთიანი მუშაობა, რომლის შედეგიცაა ზედმიწევნით ზუსტი სხივების შექმნა, ასევე ძალიან ზუსტი სისტემების შექმნა სიმსივნის მდებარეობის დასადგენად, გადასამოწმებლად და დაავადების წყაროს აღმოსაფხვრელად. ამ ხუთ-ექვსწლიანი პერიოდის შემდეგ იწყება ცდები, რათა შემოწმდეს სხივის მახასიათებლები, დადასტურდეს, რომ სხივი აკეთებს ზუსტად იმას, რისი გაკეთებაც მოეთხოვება. შეიძლება ჩატარდეს ცდები უჯრედის სხვადასხვა კულტურაზე, რათა უჩვენოთ და მსოფლიოში სხვა მსგავს მონაცემებს შეადაროთ თქვენი შედეგები. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ადამიანების მკურნალობა. სწორედ ასე განვითარდა პროექტი იტალიაშიც. ასე რომ, ჩემი აზრით, იტალიურ ჯგუფთან, CERN-სა და INFN-თან თანამშრომლობა წარმატების საწინდარია, რადგანაც ის იძლევა უკვე არსებული გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას. ასევე შესაძლებელია ქართველი ახალგაზრდების მომზადება ჩვენს ცენტრში, მათთვის შესაბამისი ცოდნის მიწოდება, რომელსაც ისინი, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, გამოიყენებენ.

ვერსიანიუსი

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გასაღების ფაქტი აღკვეთა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ნეიმათ კ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის, ტარებისა და მართლსაწინააღმდეგო გასაღების მცდელობის ბრალდებით, საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, „კალაშნიკოვის“ სისტემის, „ა-კა 74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდით და 32 საბრძოლო ვაზნით, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ერთი მჭიდით, 8 საბრძოლო ვაზნით და 6 ათასი ლარი ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნეიმათ კ. აღნიშნული იარაღის და საბრძოლო ვაზნების რეალიზაციას აპირებდა და მყიდველისგან 6 ათას ლარი ჰქონდა აღებული. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გასაღების მცდელობის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 19-236-ე მუხლის მე-4 ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

სიახლეები თიბისი ბანკის განახლებულ იპოთეკურ ცენტრში

9 ოქტომბერს, თიბისი ბანკის ცენტრალურ ოფისში, განახლებული იპოთეკური ცენტრის პრეზენტაცია გაიმართა. კომფორტულ გარემოსთან ერთად, ახალ იპოთეკურ ცენტრში, თქვენთვის სასურველი შეთავაზებების ფართო არჩევანი დაგხვდებათ.

თიბისი ბანკის პირველი იპოთეკური ცენტრი 2014 წელს გაიხსნა და ახლა ორი ასეთი ცენტრი თიბისი ბანკის ცენტრალურ ოფისსა და იუსტიციის სახლში ფუნქციონირებს. თიბისი ბანკის საცალო, საშუალო და მცირე ბიზნესის დირექტორის, **ნინო მასურაშვილის** განცხადებით, ორივე ცენტრში ექსკლუზიურადაა წარდგენილი სხვადასხვა დეველოპერული და სამშენებლო კომპანიის მშენებარე პროექტები თბილისში, წყნეთში, ბათუმში, გუდაურში, ბაკურიანსა და მარნეულში: **„ერთი წლის შემდეგ, თიბისი ბანკის განახლებული იპოთეკური ცენტრი ახალ და გაცილებით კომფორტულ სივრცეში განთავსდა. რაც მთავარია, ამ ხნის განმავლობაში, იპოთეკურ ცენტრში წარდგენილი სამშენებლო პროექტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ამ ეტაპზე, ცენტრში 51 სამშენებლო პროექტი და 1 575 გასაყიდი ბინაა“.**

იპოთეკურ ცენტრში ბინის შეძენა ბევრად მარტივი და მოსახერხებელია. როგორც იპოთეკური ცენტრის დირექტორმა, **თეონა ბრაგვაძემ** განმარტა, მომხმარებელს საშუალება აქვს, ერთ სივრცეში მიიღოს ინფორმაცია მიმდინარე სამშენებლო პროექტებზე, ისარგებლოს კვალიფიციური კონსულტანტების რჩევებით, შეარჩიოს სასურველი სამშენებლო პროექტი და იპოთეკური სესხი საუკეთესო პირობებით აიღოს: **„იპოთეკური ცენტრი ჩვენი მომხმარებლებისთვის უნიკალური შესაძლებლობაა, რათა კომპლექსური მომსახურება მიიღონ და ექსკლუზიური შეთავაზებებით ისარგებლონ. დამეთანხმებით, რომ ბინის შეძენა საკმაოდ სერიოზული გადაწყვეტილებაა, ამიტომ მაქსიმალურად ვეცდებით, მომხმარებლებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დავეხმაროთ. თბილისში, ბინების ყიდვა-გაყიდვა ყოველწლიურად 5%-ით იზრდება, თუმცა ბოლო დროს, მომხმარებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკოლოგიურად სუფთა გარემოს, სარეკრეაციო ზონას, სპორტულ მოედნებს, სამშენებლო მასალების ხარისხს, ბინების ენერგოეფექტურობას. სწორედ ამიტომ, იპოთეკურ ცენტრში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სამშენებლო პროექტები, რათა მაქსიმალურად მოვერგოთ მომხმარებლების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და შევთავაზოთ, როგორც უძრავი ქონება, ასევე იპოთეკური სესხი“.**

საქართველოს ეროვნული ვალუტის, ლარის მკვეთრი ვარდნის გამო, რამაც პიკს მიმდინარე წლის გაზაფხულზე მიაღწია, თბილისში ბინების ყიდვა-გაყიდვის პროცესი შეფერხდა. იპოთეკური სესხები ძირითადად დოლარში გაიცემა. იმ პირებისთვის კი, რომლებიც ხელფასს ლარში იღებენ, ხოლო სესხი დოლარში აქვთ აღებული, ლარის ვარდნის გამო, სასესხო მომსახურებაც გაძვირდა. „ვერსიის“ კითხვაზე, როგორ აისახა ეს პროცესი იპოთეკური ცენტრის მომხმარებლებზე, თეონა ბრაგვაძემ გვიპასუხა: **„ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებების მიუხედავად, უძრავი ქონების რეალიზაცია მაინც იზრდება. ბინების ყიდვა-გაყიდვა არ შემცირებულა და მოთხოვნაც საგრძნობლად გაიზარდა. მეტიც, თუ ადრე მომხმარებელი თანახმა იყო „შავი კარკასიც“ კი შეეძინა, ახლა ურჩევნია „თეთრი კარკასი“ ან გარემონტებული ბინა შეიძინოს“.**

მომსახურების გამარტივების მიზნით, მომხმარებლებისთვის იპოთეკური ცენტრის ვებ-გვერდი უკვე შეიქმნა http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/mortgage-center-projects. ამიერიდან, იპოთეკურ ცენტრში მისვლის გარეშე, დაინტერესებული პირები მიმდინარე სამშენებლო პროექტებზე დეტალურ ინფორმაციებსა თუ ფოტომასალებს ონლაინრეჟიმში ნახავენ. მათ კი, ვისაც დამატებითი ინფორმაციის მიღება სურს, იპოთეკური ცენტრის მენეჯერი ტელეფონის საშუალებით დაეხმარება. ამისათვის, ონლაინაპლიკაციაში მხოლოდ სახელი, გვარი და მობილური ტელეფონის ნომერი უნდა დააფიქსიროთ.

სამშენებლო კომპანია „მეტრა დეველოპმენტის“ წარმომადგენლის, **ლიანა მოდებაძის** განცხადებით, თიბისი ბანკის იპოთეკურ ცენტრში კომფორტული გარემოა შექმნილი, როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე დეველოპერებისთვისაც:

„სამშენებლო კომპანია „მეტრა დეველოპმენტი“, მომხმარებლების ინტერესებზეა ორიენტირებული. მაქსიმალურად ვცდილობთ, კარგი და სასიამოვნო გარემო შევქმნათ. უკვე ერთი წელია, თიბისი ბანკთან ვთანამშრომლობთ. მათი მომსახურებით კმაყოფილები ვართ. იპოთეკურ ცენტრთან თანამშრომლობა ჩვენთვის დამატებითი სერვისია — იპოთეკურ ცენტრში სამმხრივი ურთიერთობაა სამშენებლო კომპანიას, ბანკსა და მომხმარებელს შორის“.

მაია მიშელაძე

სტიქიით დაზარალებული მეწარმეები იაფი კრედიტით ისარგებლებენ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

აუდიტის სახელმწიფო სამსახურის სკანდალური დასკვნისა და მთავარი ოპონენტების მიერ, თბილისის მერის გადადგომის მოთხოვნის ფონზე, დავით ნარმანიამ დედაქალაქის საკრებულოს დაზარალებული მეწარმეების ხელშეწყობის პროგრამა შესთავაზა. ქვეყნის მთავარი აუდიტორები თბილისის მუნიციპალიტეტს თითქმის 70%-ით გაზრდილი ხელფასებისა თუ პრემიების გამო ამუნათებენ და დედაქალაქის თითოეული რაიონის ფინანსურ დოკუმენტებსაც გულდასმით ჩაუსხდნენ (უკვე ცნობილია, რომ აუდიტის სახელმწიფო სამსახური სამგორისა და გლდანის რაიონების გამგეობებს ამოწმებს), მაგრამ დავით ნარმანია იხტიბარს არ იტეხს და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მეწარმეებისთვის 6%-ის ნაცვლად, სესხების 3%-ად აღების ინიციატივით გამოდის.

რა კატეგორია ჩაითვლება დაზარალებულად, რა შეღავათები დაწესდება მათთვის და რა პროცედურები უნდა გაიარონ კრედიტის მსურველებმა

თბილისის მერის ინიციატივით, სტიქიის შედეგად დაზარალებული მეწარმეები „იაფი სესხის“ პროექტის ფარგლებში, კიდევ უფრო შეღავათიანი პირობებით ისარგებლებენ. შეღავათებით ისარგებლებს ყველა ის მეწარმე, რომელიც ხანძრის ან სხვადასხვა ფორსმაჟორულ ვითარებაში დაზარალდა.

რას გულისხმობს „იაფი სესხის“ პროგრამის უფრო შეღავათიანი პირობები? კონკრეტულად რა სახის სესხს, რა პირობებით მიიღებენ დაზარალებული მეწარმეები? რას ნიშნავს „ფორსმაჟორული ვითარება“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში? „ვერსიას“ თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, **იოსებ ვარდოშვილი** ესაუბრება.

— თბილისის მერიის „მეწარმეობის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის პროექტი ხორციელდება. პროექტით, მცირე და საშუალო მეწარმეებს იაფი, 6%-იანი სესხით სარგებლობა შეუძლიათ, თუმცა თბილისის მერიის ინიციატივით, ამიერიდან იაფი სესხის შეღავათიანი პირობებით სტიქიით დაზარალებული მეწარმეებიც ისარგებლებენ. საკრებულოს მიერ, შესაბამის დადგენილებაში ცვლილების დამტკიცების შემდეგ, მეწარმეთა გარკვეული კატეგორია 6%-ის ნაცვლად, სესხის 3%-ად მიღებას შეძლებს. ცვლილება ითვალისწინებს სესხის პერიოდის ზრდასაც, რაც ნიშნავს — სტიქიის შედეგად დაზარალებული მეწარმეებისთვის, სესხის ვადა, 60-დან 84 თვემდე გაიზრდება. საშეღავათო პერიოდი კი 6-დან 12 თვემდე გასტანს.

— თბილისის მერიის ხელშეწყობის რა კონკრეტული პროგრამით ისარგებლებენ სტიქიით დაზარალებული მეწარმეები?

— იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის პროექტი, თბილისის მერიის „მეწარმეობის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, 2006 წლიდან ხორციელდება, მაგრამ 2014 წელს, სესხის გაცემის პირობები გამარტივდა და პრიორიტული მიმართულებებიც გამოიკვეთა. პრიორიტეტული გახდა ადგილობრივი პროდუქციის შემქმნელი და სერვისის მიმწოდებელი მცირე და საშუალო ბიზნესების ხელშეწყობა. ამ პროექტის ფარგლებში, მეწარმეებს შეუძლიათ ისარგებლონ იაფი, 6%-იანი სესხით. პროცედურები ასეთია: მეწარმემ მერიაში უნდა წარადგინოს საპროექტო განაცხადი და აირჩიოს პარტნიორი ბანკი. ამის შემდეგ, განაცხადს შესაბამისი სამსახური განიხილავს და დასამტკიცებლად ბანკს გადაუგზავნის. დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, მერია პროექტის დაფინანსების გადაწყვეტილებას იღებს. თანხა მთლიანად მერიის ბიუჯეტიდან გაიცემა, წლიურ განაკვეთს, ანუ 6%-ს, ბანკი მომსახურებისთვის მიიღებს. სესხის მაქსიმალური ხანგრძლივობა 5 წელია და მსესხებელი ყოველგვარი დამატებითი გადასახადისგან (დამტკიცების, გაცემის და სხვა საკომისიოები) თავისუფლდება. სესხის პირობების მიხედვით, მეწარმეს შეუძლია ისარგებლოს მისი ბიზნესის სპეციფიკაზე მორგებული საშეღავათო პერიოდით და გადახდის მოქნილი გრაფიკით. სესხის მისაღებად, სტიქიის შედეგად დაზარალებულ მეწარმესაც იგივე პროცედურების გავლა მოუწევს.

— უკვე განსაზღვრულია, რა კატეგორიის დაზარალებულები ისარგებლებენ ამ ტიპის შეღავათით?

— განახლებული შეღავათიანი პირობებით ისარგებლებენ არა მარტო 13-14 ივნისის სტიქიით დაზარალებული მეწარმეები, არამედ ზოგადად, როგორც სტიქიური მოვლენის, სტიქიური უბედურების, ასევე ხანძრის ან შენობა-ნაგებობის დაზიანება-დანგრევის შედეგად დაზარალებული მეწარმეები.

დავით ნარმანიას ინიცირებული ცვლილებების პროექტი, რომელიც სტიქიის შედეგად დაზარალებული მეწარმეებისთვის იაფი სესხის შეღავათიანი პირობებით გაცემას ითვალისწინებს, დედაქალაქის საკრებულოში უკვე გადაიგზავნა. ცვლილებები იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ საკრებულო დაამტკიცებს.

საინტერესოა, რა პერიოდიდან ჩაითვლება მეწარმე დაზარალებულად, უფრო სწორად, როდის უნდა დაზარალებულიყო მეწარმე, რომ ამ სესხით სარგებლობა შეძლოს? თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურში „ვერსიას“ განუმარტეს, რომ კონკრეტული ვადები, რა პერიოდში დაზარალებულ მეწარმეებს შეეძლებათ სესხის მიღება, განსაზღვრული არ არის. მათი თქმით, განაცხადის შეტანა ნებისმიერ მეწარმეს შეუძლია, მერიაში კი ამ განაცხადებს ინდივიდუალურად განიხილავენ.

ზურაბ ადეიშვილის „იარაღი“ ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ

რა შარში გახვია გენპროკურორმა თანაგუნდელი და რატომ არ დადო მსხვერპლმა კომპრომატები

პატიმარი №0578

დღემდე კატეგორიულად უარყოფენ, მაგრამ წინა ხელისუფლების დროს, ციხეებში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული არაერთი ადამიანი იჯდა. თანაც, აუცილებელი არ იყო, გამოკვეთილი პოლიტიკური ფიგურა ყოფილიყავი — საკმარისი გახლდათ, რომელიმე ოპოზიციური პარტიისთვის ღიად დაგეჭირათ მხარი, რომ კუდ-ი და სოდ-ი ნადირობას თქვენზე იწყებდა. ნადირობის სეზონი კი, თითქმის ყოველთვის ციხით სრულდებოდა. ერთი ბორჯომელი ბიჭი მახსოვს, ალბინოსი იყო, 26 მაისს რომ მომიტინგეები დაარბიეს, მაშინ შემოაგდეს გლდანის ციხეში. ალბინოსებს ღამით მხედველობა თითქმის ბოლომდე უქვეითდებათ და ამიტომ, ამ ბიჭს ვკითხეთ, რა უნდოდა მიტინგზე ღამით. მან ამოიხვნეშა და ჩუმად თქვა, ჩემს ძმას წავყევი, გინდა თუ არა წამოდიო, დაიჟინა და აგერ, ახლა აქ ვარ. გაქცევითაც ვერ გავიქეცი, ღამე ვერ ვხედავ, ჩემთვის ვიდექი. თავიდან ყურადღებას არავინ მაქცევდა, მერე კი შემამჩნიეს და იმდენი მირტყეს, თავზე კოპები ახლაც მაქვს...

არ გეგონოთ, ციხისთვის მხოლოდ მოწინააღმდეგეებს იმეტებდნენ. საკმარისი იყო, რამე შეშლოდა, არც საკუთარ თანაგუნდელებს ინდობდნენ. ეს კი ორმაგი სასჯელი იყო — ციხეში მოხვედრილი ნაციონალი პატიმრების სამიზნე ხდებოდა. შეიძლება, არ ეცემათ (ყოველდღე არ ეცემათ, თორემ ერთ გალახვას ვერ გადაურჩებოდა), მაგრამ დღეში ასი კაცი რომ შენს დანახვაზე ხმამაღლა და გამოთქმით იტყვის, ნაცების დედაც, მოქმედისაც და ყოფილებისაცო, არ არის მაინცდამაინც კარგი მოსასმენი...

ილია დ. რუსთაველის №17 ზონაზე, მეორე სართულზე, ე.წ. ფაშისტების კამერაში იჯდა. გარედან ისე ჩანდა, რომ ყველასთან ძმაკაცობდა. სინამდვილეში ასე არ იყო და საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინოდა. რაც მთავარია, მაყურებლები და „ბლატატა“ არცთუ იშვიათად სთხოვდნენ ხან ბრენდული ტანსაცმლის შემოგზავნას და ხანაც ფრანგულ პარფიუმერიას, რაც ილიას, თითო ჯერზე, მინიმუმ ათასი ლარი უჯდებოდა, თუმცა „ჯიგრობდა“ და მაყურებლებს უარს ვერ ეუბნებოდა.

ერთ დღეს ზონაზე ჩოჩქოლი ატყდა — ილიას თბილისის რეგიონის მაყურებელი წაეკიდა და წაუთაქა კიდეც. ილიამ გაპროტესტა, ზონის მაყურებლებთან გაიქცა და... საბოლოოდ, ყველა ერთ კამერაში შეიკრიბა. პატიმარი №0578-იც იქ იყო და ინტერესით ელოდა მოვლენების განვითარებას. სხვა პატიმრებისგან იცოდა, რომ ილია მართალი იყო, მაგრამ თბილისის რეგიონის მაყურებელს ზონაზე წონა ჰქონდა და სიტყვა ეთქმოდა.

„რა მოხდა?!“ — იკითხა ზონის მაყურებელმა.

„კი იცი შენ, „ბალნიჩკისთვის“ წამლებს, კარაქსა და თაფლს ვაგროვებთ. ამ დებილს კიდევ „ობშჩიაკში“ არაფრის ჩადება არ უნდა. ჰოდა, დღეს რომ შევახსენე, წამეტლიკინა და წავუთაქე“, — დაასრულა რეგიონის მაყურებელმა.

„კაცს ჯერ ხმა არ ამოუღია, შეურაცხყოფას რომ აყენებ და ზონაზე მაყურებლის გარეშე, მუშტი-კრივს რომ მართავ, მოსული პონტია?!“ — სანამ ილია რამეს იტყოდა, ხმა №0578-მა ამოიღო.

„მომისმინე, ადრეც გითხარი, ეს კაცი „სხადნიაკებს“ და „რაზბორკებს“ ნუ ესწრება-თქო. არ არის კაი ბიჭი და აგერ, ბაზარში ჩაერია, მაყურებელს „ზამიჩანიას“ მაძლევს და...“

„და შენ არ აძლევ ზონის მაყურებელს ახლა „ზამიჩანიას“? ადრეც გითხარიო, რომ ახსენებ?!“ — არ გაჩერდა №0578 და მაყურებელმაც იფეთქა: „ორივე გაჩუმდით. ახლა ილიამ იბაზროს. ადვოკატის გარეშე“. ამის მერე, მაყურებელმა „ადვოკატს“, ანუ №0578-ს გახედა და შენ მერე დაგელაპარაკებიო, უთხრა.

„წინაზე, სიგარეტი რომ შეგროვდა, მითხრეს, გვაკლდებაო და ორი ბლოკი ჩადე, შემდეგ „ობშჩიაკზე“ აღარ შეგაწუხებთო. ჩავდე და ახლა ისევ მომადგნენ. არ გამოვა ასე. პირდაპირ ეთქვათ, ჯიგრულად, ახლა ამას რაღაც სხვა ფორმა აქვს, მატყუებენ ვითომ და თავს არ მოვიტყუებ“, — ილიამაც მოკლედ დაასრულა.

„მორჩა ბაზარი, ეს კაცი ამ ობშჩიაკში აღარ შემოვა, დაიშალეთ, შენ და შენ კი დარჩით“, — თქვა მაყურებელმა და კამერაში სხვა რეგიონების მაყურებლებთან ერთად, პატიმარი №0578 და თბილისის რეგიონის მაყურებელიც დატოვა.

„შენ მართლა თავს გაგივიდა. გოიმი დაჭერილი გვყავს, მშვიდად ვწველით და შენ კიდევ აღვიძებ. რა კარაქი და თაფლი აგიტყდა, მით უმეტეს, წინაზე გამოგირთმევია ამ ობშჩიაკის ოდენობაც. აღარ მოსთხოვო, აგვიყვირდება და სხვა ზონაზე წავა. ეს ერთი. მეორე — „ზამიჩანიები“ და ამბები რომ ამიტეხე, ადრეც გითხარი, ეს ჩემი ძმაა-მეთქი და სხვანაირად უმუშავებს თავი. რომ მოგწოლოდა, ხომ გხმარობდა ბაზარში წეღან? ამიტომ, მე ვწყვეტ, ვინ და სად დაესწრება. შენ კიდევ, შუა ბაზარში რომ ჩაერთვები ხოლმე და გოიმებს იცავ, ხმა აღარ ამოიღო. მე მითხარი, თუ რამე გინდა, გასაგებია?!“ — მკაცრად თქვა მაყურებელმა და „სხადნიაკიც“ მორჩა.

„შენა და, აქ როგორ მოხვდი?!“ — პატიმარი №0578 ილიას კამერაში შევიდა და ნარზე ჩამოჯდა.

„ბავშვობიდან აქა ვზივარ“, — გაიკრიჭა ილია, მაგრამ №0578-ის სერიოზულ სახეს რომ შეხედა, ჩუმად დაიწყო.

„ზურა ადეიშვილთან ვმუშაობდი. ბევრი არაფერი, რიგითი თანამშრომელი ვიყავი, მაგრამ ზურასთან კარგი ურთიერთობა მქონდა და თუ სადმე რამე საინტერესო იჩითებოდა, საქმეში ვიყავი, მაგალითად, სადმე მიწის ნაკვეთი ან რომელიმე შენობა. აუქციონში ვიღებდი მონაწილეობას, სხვა არავინ შემოდიოდა და მარტივად ვიგებდი. ერთხელაც ზურამ მითხრა, ზაჰესის ტერიტორიაზე 12 ჰექტარი მიწა იყიდება და უნდა იყიდოო. ჩვეულებრივი, ელექტრონული აუქციონი იყო. შევედი და ვიღაც ტიპმა ვაჭრობა გამართა. დავურეკე ზურას, ბოლომდე გაყევი, რაც უნდა დაგიჯდეს, იყიდეო. საბოლოოდ, რვაასი ათასად ვიყიდე. ზურასაც ვუთხარი და კარგი, გავარკვევო. საღამოს, სახლში ვიყავი, როცა პოლიცია მოვიდა და გამოგვყევიო, მითხრეს. მოდულის შენობაში მიმიყვანეს, წამითაქეს და აბა, ახლა თქვი, ვინ გითხრა მაგ ნაკვეთის ყიდვაო. რაღა თქმა უნდა, ხელი ადეიშვილისკენ გავიშვირე, მაგას დაურეკეთ და ყველაფერს გეტყვით-მეთქი. ოთახიდან გავიდნენ და რომ დაბრუნდნენ, კინაღამ ცემაში მომკლეს, რა ადეიშვილი, ვინ დაგავალაო. ადეიშვილთან შეხვედრა მოვითხოვე და მაგაზე ცალკე მცემეს. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა და ბოლოს ნაცნობი დავინახე. ამას მოვუყვები-მეთქი და ოთახში მარტო დაგვტოვეს. იმან ამიხსნა, რომ იმ მიწაზე თვალი ვანო მერაბიშვილს ჰქონდა დადგმული და ადეიშვილმა ეს იცოდა. ამის მიუხედავად, მე მავაჭრა და გამიმეტა, რა. თავად კი უარზე დადგა, რა მიწა, რის მიწა, ვუთხარი, ეგ მიწა ვანოსია და არ დამიჯერაო.

რა უნდა მექნა, ის ღამე ფიქრში გავატარე და დღისით გამომძიებელს ვუთხარი, ხომ ყველას უსმენთ, ჩემი და ადეიშვილის საუბრის ჩანაწერი ამოიღეთ და ნახავთ, როგორ მეუბნება, ბოლომდე გაყევი-მეთქი. მაგაზე კიდევ მცემეს და ნაშუადღევს რაღაც საბუთი მომიტანეს, სახელმწიფო ქონების გაფლანგვის სქემაში მიმიღია თურმე მონაწილეობა და შვიდი წელი მომცეს. ის მიწა კი დავკარგე — მოგებული აუქციონის პირობებს აბა როგორ შევასრულებდი, ფული ადეიშვილს უნდა მოეცა. ვზივარ ახლა და ვიხდი სასჯელს, მაგრამ როცა იქნება, ხომ გავალ და ისეთ დოკუმენტებს დავდებ, ავაყირავებ ამ მთავრობას“, — იმუქრებოდა ილია.

* * *

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ილია ციხიდან მალე გავიდა და ევროპას მიაშურა, თუმცა იქ ფეხი ვერ მოიკიდა და სამშობლოში დაბრუნდა. მუქარას რაც შეეხება... ილია დღეს ნაციონალების რიგებში ერთ-ერთი გავლენიანი წევრია და სავარაუდოდ, საპარლამენტო სიაშიც მოწინავე პოზიციებზე იქნება.

„აბა რა მექნა, „ოცნებამ“ არ გამიკარა, იმათი ხარო და ისევ იმათთან მივედი“, — ასე იმართლა თავი ილიამ, როცა პატიმარმა №0578-მა გადაწყვეტილების მიზეზი ჰკითხა.

„კავკასუს ონლაინი“ for.ge-ს 100 000 ლარს სთხოვს

რას ედავებიან კომპანიის ყოფილ მფლობელს და საინფორმაციო სააგენტოს დამფუძნებლებს და რატომ გადაიდო სასამართლო პროცესი?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„კავკასუს ონლაინისა“ და საინფორმაციო სააგენტო for.ge-ს სასამართლო პროცესი, რომელიც 9 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა, გადაიდო. „კავკასუს ონლაინი“ საინფორმაციო სააგენტოს არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში სდებს ბრალს, რისთვისაც ბოდიშის მოხდასა და 100 000 ლარს ითხოვს. თავის მხრივ, საინფორმაციო სააგენტომ „სადავო“ სტატიაში მოყვანილი ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოში წარადგინა, მოსარჩელე მხარის წარმომადგენლებმა მასალების გაცნობა მოითხოვეს, რის გამოც მოსამართლემ პროცესი გადადო.

for.ge-ს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, **ბესო გაბუნიამ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ სტატია, რის გამოც „კავკასუს ონლაინი“ საინფორმაციო სააგენტოს ედავება, 2014 წლის 2 ოქტომბერს გამოქვეყნდა. სააგენტომ სანდო წყაროზე დაყრდნობით შეიტყო, რომ 2014 წლის 1 ოქტომბერს, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, „კავკასუს ონლაინში“ კრიმინალური პოლიცია და აღმასრულებლები შევიდნენ. ბესო გაბუნია გვიამბობს, რომ წყაროს ინფორმაციით, ინტერპოლის სათავო ოფისის შეტყობინების საფუძველზე, კრიმინალურმა პოლიციამ „კავკასუსის“ ოფისიდან ის სერვერები ამოიღო, რომლებზეც დიდი რაოდენობით ბავშვთა პორნოგრაფიული მასალები იყო განთავსებული: **„ამავე სტატიაში, ჟურნალისტს „კავკასუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელი, ბიზნესმენი მამია სანადირაძე უამბობს, როგორ დაათმობინეს კომპანია სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს. ბატონი მამია დეტალურად გვიყვება, როგორ ათეთრებდნენ ფულს „კავკასუს ონლაინში“. მისი თქმით, 2010 წლიდან, ახალმა მფლობელებმა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში საკომუნიკაციო ქსელების მონტაჟისას, დიდი ოდენობით თანხა „მოტეხეს“, რის გამოც 4 წელში, კომპანიის დავალიანება 80 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა. როდესაც ამ მიმართულებით თანხის ამოღების რესურსი ამოწურეს, ერთ-ერთი საერთაშორისო კომპანიის წარმომადგენლის, ლადო ქვილითაიას საშუალებით, „კავკასუს ონლაინმა“ ძვირადღირებული აპარატურის შეძენა დაიწყო. მამია სანადირაძის ინფორმაციით, ამ მეთოდით, „კავკასუსმა“ და ქვილითაიამ სახელმწიფოს რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი დაუმალეს. მოგვიანებით, „კავკასუსს“ ფულის კეთების ეს გზაც გადაეკეტა, რადგან „კავკასუსს“ სესხი თიბისი ბანკიდან ჰქონდა აღებული, ბანკმა კი ვალის დაფარვის მიზნით, კომპანიაში საკუთარი წარმომადგენელი მიავლინა და თითოეული თეთრიც კი კონტროლდებოდა. ამის შემდეგ, „კავკასუს ონლაინის“ მფლობელებმა ფულის კეთების ახალი სქემა მოიგონეს და ბავშვთა პორნოგრაფიით დაინტერესდნენ“.**

2014 წლის 2 ოქტომბერს, სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში დეტალურადაა გაშუქებული სქემა, რომლითაც ბავშვთა პორნოგრაფიული მასალები „კავკასუსის“ კუთვნილ, პოპულარულ საიტებზე ხვდებოდა: **„2008 წელს, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაადგინა, რომ ერთი გიგაბიტის მიერთება პროვაიდერებს შორის უფასოა, ხოლო ყოველი დამატებითი გიგაბიტის ღირებულება, თვეში 5 000 ლარია. დავუშვათ, „სილქნეტს“ 5-6 გიგაბიტი ინტერნეტი სჭირდება „კავკასუსიდან“, ამ შემთხვევაში, „სილქნეტი“ დაახლოებით, 25-30 000 ლარს უხდის „კავკასუსს“, რომ მის მომხმარებლებს კომფორტულად შეეძლოთ „კავკასუსის“ მფლობელობაში არსებულ პოპულარულ საიტებზე წვდომა. კომპანიის წართმევის შემდეგ, „კავკასუსის“ საიტებს ახალმა ხელმძღვანელობამ ყურადღება არ მიაქცია, მათი პოპულარობა დაეცა, ვიღაცებმა ამით ისარგებლეს, კონკურენტი საიტები გააკეთეს და ტრაფიკებზე მანიპულირება დაიწყეს. თუმცა ამ საიტების სერვერებიც „კავკასუსშია“ განთავსებული, ანუ ახალი კომპანია შექმნეს, რომელიც „კავკასუსის“ სერვერებზე განთავსებულ საიტებზე, თავად „კავკასუსიდანაც“ ფულს იღებს. ტრაფიკის ორი ყველაზე დიდი მოთამაშე allprojects და myhit.ge იყო. ამ საიტებს პირდაპირი კავშირი აქვთ „კავკასუსის“ ყოფილ ფინანსურ და ახლანდელ კომერციულ დირექტორთან, გენადი როსტომაულთან, რომელსაც შპს-ს დირექტორად საკუთარი მეუღლე ჰყავს გაფორმებული. ტრაფიკის მანიპულირებით, თითოეული საიტიდან შემოსავალი, დაახლოებით, 80 000-დან 100 000 ლარამდე აღწევს“.**

მას შემდეგ, რაც მარეგულირებელმა „კავკასუს ონლაინს“ ტრაფიკების გაყიდვა აუკრძალა, კომპანიამ ყველაფერი „რკინიგზის ტელეკომში“ გადაიტანა, რომელიც სააკაშვილმა მეათედ ფასად მიჰყიდა „კავკასუსის“ ერთ-ერთ მფლობელს. ბესო გაბუნიას განმარტებით, სწორედ ამ კომპანიების სერვერებზე აღმოჩნდა განთავსებული პორნოგრაფიული მასალები, რომლებიც გამოძიების მიზნით, კრიმინალურმა პოლიციამ კომპანიიდან წაიღო.

ბესო გაბუნიამ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ სტატიის მომზადების დროს, for.ge-ს ჟურნალისტი „კავკასუს ონლაინის“ წარმომადგენლებსაც დაუკავშირდა, მაგრამ მათ ოფიციალური კომენტარისგან თავი შეიკავეს. 2015 წლის იანვარში კი საინფორმაციო სააგენტოს დამფუძნებლებმა სასამართლოდან შეტყობინება მიიღეს, რომ „კავკასუს ონლაინის“ წარმომადგენლებმა და სტატიაში მითითებულმა პირმა ლადო ქვილითაიამ, საინფორმაციო სააგენტოსა და მამია სანადირაძის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. მოგვიანებით ეს ორი სარჩელი სასამართლოში ერთ საქმედ გაერთიანდა. მოსარჩელეები საინფორმაციო სააგენტოსგან ბოდიშის მოხდასა და ფულად კომპენსაციას ითხოვენ, „კავკასუს ონლაინი“ — 50 000 ლარს, ხოლო ლადო ქვილითაია — 50 000 ლარს. ბესო გაბუნიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ for.ge-ს დამფუძნებლები ბოდიშს მოიხდიან, რაც ამავე სააგენტოს საიტზე განთავსდება, მედიასაშუალებას ფულად კომპენსაციას აღარ მოსთხოვენ. თუმცა for.ge-ს დამფუძნებლები ბოდიშის მოხდას არ აპირებენ, რადგან გასულ წელს გამოქვეყნებული სტატია სანდო წყაროზე დაყრდნობით მომზადდა, რომლის დამადასტურებელი მასალებიც აქვთ, რაც მტკიცებულების სახით, სასამართლოში უკვე წარადგინეს.

ვანო პავლიაშვილი

„ბოზური საქციელი ცხოვრებაში არ გამიკეთებია და არც გავაკეთებ!“

ვინ სთხოვდა 100 ათასის გადახდას, რაფომ არ იკეთებს ცხვირის ოპერაციას და როგორ მოხვდა „ოცნებაში“ დათო ღორთქიფანიძე

...ზოგი ჭირი მარგებელიაო და, კიდევ კარგი, ნაციონალებთან ასოცირებულმა ტიპებმა დეპუტატ დათო ლორთქიფანიძეს პიჯაკი შემოახიეს, თორემ ალბათ, კიდევ, რამდენიმე წელი გავიდოდა და პარლამენტის თბილისის შენობაში ფეხის შემდგმელიც არ ვიქნებოდი... რომ მივედი, ტელეფონზე ლაპარაკობდა... გულდასმით მოვუსმინე და რამდენიმე დეტალიც „დავიჭირე“. მერე ისიც გავარკვიე, რომ მხოლოდ ზარაფხანის ყოფილი დირექტორი და ყოფილი ქრისტიან-დემოკრატი კი არა, ყოფილი ფეხბურთელიცაა და რონალდოს, მესის, შევჩენკოსა და კალაძის ავტოგრაფები აქვს... შევთავაზე, ბერას „ავტოგოლი“ ერთად მოვისმინოთ და პოლიტიკურ ჭრილში გავარჩიოთ-მეთქი, მაგრამ იუარა, დრო არ მაქვსო... დამპირდა, მზად ვარ, ნებისმიერ კითხვაზე გიპასუხოო. პირობა შეასრულა, თუმცა საუბრისას, ცემა რომ ვახსენე, მომიგო: „მე ვარ ადამიანი, რომელმაც ამ ცხოვრებაში ყველაფერი ვნახე და სიტყვებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. არავის უცემივარ და, უბრალოდ, ტანზე პიჯაკი შემომახიესო.“ მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და, თქვენს წინაშეა „ოცნებელი“ დათო ლორთქიფანიძის არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ.

— ბატონო დათო, წეღან თქვით, ადამიანებს ჩემზე წარმოდგენა არ აქვთო. სიმართლე გითხრათ, ხეირიანად არც მე გიცნობთ. ალბათ, ელოდებით, რომ საუბარს პოლიტიკით დავიწყებ, მაგრამ... ცხვირის კომპლექსი გაქვთ?

— ცხვირის კომპლექსი მე კი არა, სამწუხაროდ, ადამიანებს აქვთ და ჰგონიათ, რომ ამით სხვას შეურაცხყოფას აყენებენ. ცხვირის კომპლექსი რომ მქონოდა, რამდენიმე წლის წინ, ძგიდე მქონდა გატეხილი და ქირურგი მთელი ორი თვე მოლაპარაკებას აწარმოებდა, რომ ცხვირის სიგრძე მომეკლო, რადგან თვლიდა, რომ ეს ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს ცხვირი ჩემი მახასიათებელია და მის გარეშე ის დათო ლორთქიფანიძე არ ვიქნები, ვისაც არაერთი ათეული წელია, მიცნობენ... ამ ქვეყანაში ნაცმოძრაობის მხარდამჭერები არიან, მაგრამ ძალიან ცოტანი, თუმცა ამ ძალიან ცოტასაც შეუძლია, შეურაცხყოფა მოგაყენოს და გული გატკინოს.

— ცხვირის გამო გული არც თინეიჯერობაში გტკიოდათ?

— არა... ისე, ეს თემა ხათუნა გოგორიშვილმა „აწია“, რომელსაც მჩხვლეტავი ხუმრობა უყვარს... ხათუნას თითქმის 30 წელია ვიცნობ, მაგრამ აქამდე არ შემიმჩნევია, რომ ჩემი ცხვირი ხათუნას განსაკუთრებული ინტერესის სფეროში შედიოდა...

— ახლა, ალბათ, იმიტომ, დაინტერესდა, რომ თვალში „ცუდად მოხვდა“...

— სხვათა შორის, ხათუნას ვურჩევ, ჩემი სხეულის ზოგიერთი ნაწილის ჭვრეტას თავი დაანებოს და სისხლის სამართლის კოდექსში ჩაიხედოს, რომლის გამოც ის ახალგაზრდები, სამწუხაროდ, საპატიმროში არიან. ისინი ციხეში ნაცმოძრაობამ და მისმა აქტივისტებმა მოახვედრეს, რადგან გათვითცნობიერებული არ ჰქონდათ, პარლამენტის წინ ჩხუბს რა შეიძლება მოყოლოდა...

ჩემთან მიმართებაში თუ ვინმეს ფიზიკურად შეხება ჰქონია, ანალოგური მიუღია, ვალში არ დავრჩენილვარ და არც დავრჩები, მაგრამ ისე მოხდა, რომ ადამიანმა მეგაფონი მესროლა და რა უნდა გამეკეთებინა?.. ზოგი ჟურნალისტი ვერ ხვდება, დათო ლორთქიფანიძე გამოძიებასთან რა როლს ასრულებდა — სისხლის სამართლის კოდექსით, მოწმის სტატუსით, დაზარალებულად ვარ ცნობილი. გამომძიებელმა გამომკითხა, რა იყო. არსად მითქვამს, სათვალე და პიჯაკი უნდა მიყიდონ-მეთქი... რაც შეეხება სასჯელს, ნაცმოძრაობას წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ ჩვენ სასამართლოსა და პროკურატურის საქმიანობაში არ ვერევით. თუ გამოძიებასთან ითანამშრომლებენ, ვფიქრობ, ამ ადამიანებს სასჯელი შეუმსუბუქდებათ, რადგან არავის მოსწონს, როცა ადამიანი ციხეშია, მაგრამ ეს ხალხი ციხეში ნაცმოძრაობის გამოა. სხვათა შორის, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება თავის დროზე ნაციონალებმა შეიტანეს და პარლამენტარზე ფიზიკური ანგარიშსწორება მძიმე დანაშაულს გაუტოლეს.

ახლაც მთელი პასუხისმგებლობა ნაცმოძრაობამ უნდა აიღოს და ყველა მშობელს მივმართავ: კარგად დაუკვირდეს, მისი შვილი ნაცმოძრაობის მიერ არ იყოს გამოყენებული!..

კარგია, რომ კიდევ ერთხელ მეძლევა საშუალება, ამ თემაზე კომენტარი ერთ-ერთი რეიტინგული გაზეთით გავაკეთო, თან ეს საკითხი მხოლოდ მე არ მეხება, მთელი დღის განმავლობაში შეურაცხყოფას გოგლა ჟვანიას, ვალერი გელაშვილს, ლუკა კურტანიძეს, იაშა შერვაშიძეს აყენებდნენ.

— იაშა შერვაშიძე ვინღაა?

— დეპუტატია აჭარიდან...

— არც გამიგია...

— ჩემთან დაკავშირებით, ყველაფერი ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა.

— იმიტომ ხომ არა, რომ თვალშისაცემი პიჯაკი გეცვათ?

— არა... მე და ვალერი გელაშვილს 15-20 წუთი დაგვაგვიანდა...

— შემოხეული პიჯაკი სად გაქვთ?

— როგორც ნივთმტკიცება, გამოძიებამ ამოიღო და ალბათ, დამიბრუნებს.

— რაღაც რომ გთხოვოთ, შეიძლება?

— მთხოვეთ...

— თუ პიჯაკს დაგიბრუნებენ, მაჩუქეთ!

— რატომ უნდა გაჩუქოთ?

— ჟურნალისტი ვარ და, როგორც ისტორიულ რელიკვიას, შევინახავ!

— ჩემი პიჯაკია და მე შევინახავ...

— ეჰ, ერთი შემოხეული პიჯაკი როგორ არ გემეტებათ?!

— სხვა რამეს გაჩუქებთ!

— მადლობა, სხვა რამე რად მინდა, ის პიჯაკი მინდოდა!.. საშვთა ბიუროსთან თითქმის ნახევარი საათი გელოდით...

— კომიტეტის სხდომაზე ვიყავი, ახლაც სხდომაა, მაგრამ თქვენი პატივისცემის გამო დავტოვე...

— ისევ მადლობა... ჰოდა, მისაღებში ორი ქალბატონი იდგა, არ ვიცი, ვისთან შეხვედრას ცდილობდა, მაგრამ ერთი ამბობდა, ამათ, ქალიან-კაციანად, სველი წკეპლა უნდათ, ხელისუფლებაში მოვიყვანეთ, პრემიებით ჯიბეს ისქელებენ და ტელეფონზეც არ პასუხობენო... მოკლედ, ხალხი უკმაყოფილოა. თქვენ, როგორც „ოცნებელი“, საპარლამენტო უმრავლესობის მუშაობით კმაყოფილი ხართ?

— შეგვეძლო, ჩვენი საქმიანობა ბევრად უკეთესად წარმოგვეჩინა.

— რატომ არ წარმოაჩინეთ?

— ძალიან სერიოზული ხელისშემშლელი მიზეზები იყო, მათ შორის, ე.წ. კოჰაბიტაცია...

— ეგ კოჰაბიტაციაც თქვენ მოიგონეთ!

— მე დიდ პოლიტიკას არ ვწყვეტ. პარლამენტის წევრი ვარ და თუ ჩემი პოზიცია გაინტერესებთ, შეგიძლიათ, ჩემი გამოსვლები და პუბლიკაციები ამოიღოთ. პირველივე დღიდან ამის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან საზოგადოების მოთხოვნა იყო, იმ დანაშაულებრივ რეჟიმს პასუხი ეგო... ყოველთვის ისეთი მაქსიმალური ნაბიჯები მაქვს გადადგმული, რომელზეც თავის დროზე შეიძლება, ფიქრობდნენ, ეს ახლა გასაკეთებელი არააო.

— რაზე მიანიშნებთ?

— „კასრების ფაქტზე“, როცა ათიათასობით ვიდეომასალა ამოიღეს და რომლის გაშვებაზეც ჩვენი ხელისუფლება არ წავიდა, მე ერთადერთი დეპუტატი ვარ, რომელმაც პარლამენტის სხდომაზე განვაცხადე, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, წინა ხელისუფლება რა ბოროტებას ჩადიოდა და „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, იდენტიფიცირების გარეშე, ყველაფერი უნდა აჩვენოს-მეთქი. ასე რომ მომხდარიყო, დღეს ამ ადამიანებს ხმამაღლა საუბრის უფლება აღარ ექნებოდათ, მაგრამ გაივაკეს და აქეთ გვერჩიან. შეგვეძლო, ბევრად წარმატებულად ვყოფილიყავით, მაგრამ ბევრი სასიკეთოც გავაკეთეთ...

— კი ბატონო, მაგრამ... ვიდრე საუბარს დავიწყებდით, ტელეფონზე ვიღაცას უთხარით, ვინმეს, შეიძლება, ბოროტი ძია ვგონივარო. შეიძლება, ასეცაა და პიჯაკი შემომახიოთ, მაგრამ მაინც გკითხავთ: ბოროტი ხართ?

— არა, ძალიან თბილი ადამიანი ვარ და შემიძლია, ყველაფერი გავაკეთო, რომ სხვისი მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდეს.

— თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვა, რეჟიმის დროს იმ პარტიის აპარატის უფროსი იყავით, რომელსაც ნაციონალების სატელიტად მიიჩნევდნენ. როდის მიხვდით, რომ ნაცმოძრაობა რეჟიმი იყო?

— ეს ჩემი ისტორიაა, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. 2008 წლის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატი ვიყავი. ამ მოძრაობის ლიდერები წარმატებული ჟურნალისტები იყვნენ და მიმაჩნია, რომ ნაცმოძრაობის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიაში სერიოზული როლი მიუძღვით — გირგვლიანის საქმე პირველად გიორგი თარგამაძის საავტორო გადაცემაში გაჟღერდა, რამაც სააკაშვილის რეჟიმი სერიოზულად შეარყია... ამ ხალხმა მთხოვა, რომ რიგგარეშე არჩევნებში, ვანში, მაჟორიტარობის კანდიდატი ვყოფილიყავი და არჩევნები მოვიგე, მაგრამ იმის გამო, რომ საარჩევნო კომისია ნაცმოძრაობის იყო, ოქმები გადაწერეს და სასამართლო გადაწყვეტილება, სტრასბურგში რომ არ გამესაჩივრებინა, სამი წელი არ მომცეს...

— არასოდეს გაგჩენიათ კითხვა, ქრისტიან-დემოკრატები ნაცებთან ფარულად მართლა თანამშრომლობდნენ თუ არა?

— როცა კითხვა გიჩნდება, ადამიანი მომენტალურ გადაწყვეტილებას არ ღებულობ... კითხვები, დაახლოებით, ორი წლის შემდეგ გამიჩნდა და ერთი წელი ამ პროცესებს ვაკვირდებოდი, იქნებ, რაღაცას არასწორად ვხედავ-მეთქი.

— ამ საკითხზე გიორგი თარგამაძეს რამე კითხეთ?

— საკმაოდ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის კაცი ვარ და ანალიზს ვაკეთებდი... თვითონაც იციან, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან რისთვისაც წამოვედი.

— მეც მითხარით!

— არა... როცა პოლიტიკაში ბატონი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა და შემომთავაზეს, ვყოფილიყავი...

— ვინ შემოგთავაზათ?

— არც ესაა მნიშვნელოვანი...

— სწორედ ესაა მნიშვნელოვანი, რადგან ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პარტნიორობას ყველას არ სთავაზობდა...

— ბიძინა ივანიშვილს თვითონ არ შემოუთავაზებია... საზოგადოებასა და ბატონ ბიძინას შორის იყვნენ ადამიანები...

— შუამავალს რატომ მალავთ?

— აფიშირება იმ ადამიანს არ სჭირდება, ასეთი პირობა იყო, რომელსაც ვასრულებ... ვუთხარი, რომ ჩემი ბეგრაუნდი კარგად გადაემოწმებინათ და თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ, მათთან ვყოფილიყავი, მზად ვიყავი...

— ამ დროს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ჯერ დატოვებული არ გქონდათ?

— ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა 2012 წლის აპრილში დავტოვე.

— ანუ, „ოცნებიდან“ გარანტია რომ მიიღეთ, თარგამაძის გუნდი მერე დატოვეთ, არა?

— არა. „ქართულ ოცნებაში“ რომ მივედი, იქიდან უკვე წამოსული ვიყავი. ყველაფერი ეს დოკუმენტურადაა და ტყუილის თქმის საშუალება არ მექნება...

— კეთილი, მაგრამ მე კულუარების გარკვევას ვცდილობ...

— კულუარებში ყოველთვისაა თემა, რომელიც კულუარებში დარჩება და რომელიც გასაჯაროვდება. გეუბნებით: ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან წამოვედი და რაღაც პერიოდის მერე, პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გავხდი და წინასაარჩევნო კამპანიაშიც აქტიურად ჩავერთე...

— წეღან, სატელეფონო საუბრისას, ასეთი ფრაზაც თქვით: ადრე ვამბობდი, ჯერ კაცი ვარ და მერე პოლიტიკოსი, ახლა კი ვამბობ, პოლიტიკოსი კაცი ვარო... მაშასადამე, თავს პოლიტიკოსად თვლით?

— თავს პოლიტიკოსად კი არა, პოლიტიკოს კაცად ვთვლი.

— ვიდრე პოლიტიკოსი გახდებოდით, ზარაფხანას ხელმძღვანელობდით. პოლიტიკოსობა იმიტომ გადაწყვიტეთ, რომ ნაცებზე შური გეძიათ?

— სამწუხაროდ, სწორი ინფორმაცია არ გაქვთ. პოლიტიკოსი მანამ ვიყავი, ვიდრე ზარაფხანაში მივდიოდი.

— მანამდე პოლიტიკოსი სად იყავით?

— სად და — 90-იან წლებამდე ვანის რაიონში ვცხოვრობდი და რაიონის საქმეებში აქტიურად ვიყავი ჩართული.

— კომპარტიის წევრი იყავით?

— არა, მოქკავშირის. პოლიტიკა ჩემთვის უცხო არ ყოფილა: რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ვიყავი. ზარაფხანიდან წამოსვლის მერე, სურვილი არ გამჩენია, შური უნდა ვიძიო-მეთქი, მაგრამ ყოველთვის მქონდა განცდა, რომ ჩემი სიმართლე საზოგადოებამდე მიმეტანა.

— მოქკავშირიდან „ვარდოსნებთან“ გექნებოდათ ურთიერთობა...

— დიახ, დიახ, ჩემს ხელში არიან გაზრდილები და ძალიან კარგად ვიცნობ.

— აბა, მათთვის მიუღებელი რატომღა გახდით?

— ეგ მიშას და მაგათ კითხეთ... მათი გუნდის წევრი ერთი დღეც არ ვყოფილვარ...

— არც შემოთავაზება გქონიათ?

— სიმართლე გითხრათ, მქონდა, მაგრამ უარი ვთქვი, რამაც ზარაფხანაში ჩემს მიმართ ანგარიშსწორება გამოიწვია.

— რა სახის შემოთავაზება გქონდათ — ნაცების სახე უნდა გამხდარიყავით თუ, როგორც ზარაფხანის დირექტორს, ფარულად ფული მიგეცათ?

— ფული საიდან უნდა მიმეცა? ზარაფხანა ერთი გაყინული, გაკოტრებული საწარმო იყო, სადაც 8 თვის ხელფასი იყო გაუცემელი და გარე სამყაროსთან ერთი კონტრაქტიც არ არსებობდა...

— სამაგიეროდ, კარგად ჟღერს: ზარაფხანა, ზარაფხანის დირექტორი...

— საქმეც ეგაა: რომ მივედი, გავაცოცხლე — 2 მილიონის კონტრაქტი გავაფორმე და წარმოება ნელ-ნელა დავიწყეთ, „დავქოქეთ“. ამასობაში,

ეს ბატონები მოვიდნენ და ზარაფხანის ხელში ჩაგდება, პრივატიზება მოინდომეს, რისი წინააღმდეგიც წავედი. მირჩიეს, თუ ასე არ მოვიქცეოდი, ძალიან ცუდად დავამთავრებდი. ამის მთავარი, ასე ვთქვათ, იდეოლოგი ბატონი ბენდუქიძე იყო, რომელიც მთავაზობდა, სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლისთვის თავი დამენებებინა და მათ ნებას დავმორჩილებოდი. ჩემთვის გაუგებარი იყო, სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა რას ნიშნავდა, რადგან ვამბობდი, რომ ზარაფხანა სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო. მერე ამიხსნეს, „სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა“ იმას ნიშნავს, რაც ჩვენ გვინდა, ისე უნდა იყოსო და ამაზე არ წავედი...

— „ახსნა“ რა სახის იყო — სადმე წაყვანა და...

— არა, არა, ეს იყო სატელეფონო საუბარი, კეთილი რჩევა... დასამალი არაა: ხელისუფლების სახელით, ჩემთან მოლაპარაკებას ერთ-ერთი ადამიანი აწარმოებდა.

— სახელდობრ?

— გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ვიტყვი.

— ანუ, ამ საქმეზე გამოძიება დღესაც მიდის?

— ეს საქმე თაროზეა შემოდებული, თუმცა ვიმედოვნებ, გამოძიება დაიწყება.

— ესე იგი, სამართლიანობის აღდგენის იმედი გაქვთ?

— შეიძლება, დაგვიანებით, მაგრამ სამართალი გზას ყოველთვის იპოვის — სამართალი ურმით დადის.

— ეს ურემი თქვენამდეც მოვა?

— ყველასთან მივა, ვინც წესიერად ცხოვრობს... ჩემთან ასეთი შემოთავაზება ქონდათ, რომ 100 ათას დოლარზე მეტი გადამეხადა და საბანკო ანგარიშიც გამომიგზავნეს.

— 100 ათასი პიროვნულად დათო ლორთქიფანიძეს უნდა გადაეხადა თუ ზარაფხანას?

— კუპიურას „ზარაფხანა“ არ აწერია... სხვათა შორის, გზას მასწავლიდნენ, როგორ უნდა გადამეხადა.

— როგორ?

— აი, საზღვარგარეთ „გადატვირთული“ პროდუქციის ფული ამ ანგარიშზე გადარიცხე და სახელმწიფო მანქანა აღარ შეგეხებაო, რაზეც არ წავედი. ეს ოფშორის ანგარიში იყო... აღმოჩნდა, რომ სატელეფონო საუბრები იწერებოდა... ხომ ხედავთ, რა საინტერესო რაღაცებზე გელაპარაკებით...

— დამელაპარაკებით, აბა, როგორ? — გკითხეთ და მპასუხობთ!

— შემეძლო, გეკითხათ და არ მეპასუხა... ამიტომ, გულწრფელობა უნდა დამიფასოთ!

— ჯერ ერთი, არ მიყვარს, როცა კითხვაზე პასუხს არ მცემენ, მეორეც, დაფასება რითი გამოვხატო?

— ვერ გავიგე, იუმორზე „აცრილი“ ხომ არ ხართ?

— მე?.. როგორ გეკადრებათ! დაგიფასებთ: დაგიმეგობრდებით და კულუარულ ინფორმაციებს მომაწვდით ხოლმე!

— არა, კულუარული ინფორმაცია კულუარულია და მისი გატანა გუნდის ინტერესების საზიანოა.

— მაშასადამე, არ გინდათ, რომ ჩემისთანა მძიმეწონოსანმა ჟურნალისტმა თქვენთან იმეგობროს, არა?

— თქვენთან მეგობრობაზე უარს, რა თქმა უნდა, არ ვიტყვი, მაგრამ თავს გუნდის წევრად ვთვლი და ის, რაც ჩემთან კულუარულად ითქმევა, ჩემთან დარჩება.

— ნაცების კულუარების გახმაურებას გთხოვდით და იუმორზე, მგონი, თქვენ ხართ „აცრილი“...

— ნაციონალების კულუარულ ინფორმაციას გავასაჯაროებ!

— ...ბატონო დათო, წარამარა ტელეფონს რატომ უყურებთ?

— მირეკავენ...

— ისე, „ძაან ისეთი“ ტელეფონი გაქვთ, ძველებური...

— მეორეც მაქვს, მაგრამ ტელეფონი ჩემთვის კომუნიკაციის საშუალებაა. ზოგს კი „სამარიაჟოდ“ სჭირდება.

— „ჰაი-კლასის“ მობილით საუბრებს ჩუმად ჩაიწერთ...

— არ მჭირდება. ბოდიში და, ასეთი ბოზური საქციელი ცხოვრებაში არ გამიკეთებია და არც გავაკეთებ...

— კეთილი... მოკლედ, ნაცებს ფული გადაუხადეთ თუ არა?

— არა... პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა...

— თქვენზე?

— არა, ფაქტზე. 2004 წლის აგვისტოში, გამოძიებამ დაზარალებულად მცნო. სექტემბერში კი, როცა შვებულებაში ვიყავი, ზარაფხანაში სპეცრაზმით შეცვივდნენ, გამათავისუფლეს, ახალი დირექტორი მიიყვანეს და დასვეს. იმ რეჟიმისგან უფრო მეტს ველოდი — მეგონა, დამიჭერდნენ.

— როგორ გადაურჩით?

— სამი თვე შემოწმებაზე იყვნენ, ვერაფერი ნახეს...

— ...ბოლოს, ბიძინა ივანიშვილი გაიცანით?

— ბოლოს კი არა, თავიდანვე გავიცანი.

— პირველად სად შეხვდით?

— თავისთან, ოფისში. აბა, როგორ ფიქრობთ: როცა „ქართული ოცნების“ წევრი და პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი გავხდებოდი...

— ...რამდენი პიჯაკი გაქვთ?

— რამდენიმე...

— ანუ, კიდევ რომ შემოგახიონ, პრობლემა არაა?

— იმ ხელფასით პიჯაკის ყიდვას, რა თქმა უნდა, მოვახერხებ...

— შემოხეული პიჯაკი რამდენლარიანი იყო?

— დაახლოებით, 200... ვატყობ, თქვენთვის მატერიალური უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე — ღირსების საკითხი.

— ყბადაღებული ინციდენტის დროს თქვენი ღირსება შეილახა?

— რა თქმა უნდა...

— ...კაბინეტის კარზე დათო ლორთქიფანიძე აწერია. სახელი დავითი არ მოგწონთ?

— დოკუმენტებშიც დათო მიწერია...

რაღაც ისე ხართ განწყობილი... მოკლედ, შარზე ხართ!

— როგორ გეკადრებათ!.. ახლა კი რამდენიმე ბლიცკითხვაზე მიპასუხეთ: ნატო თუ რუსეთი?

— ის, რომელიც ამ ქვეყანას...

— მაპატიეთ, მარტივად მიპასუხეთ: ნატო თუ რუსეთი?

— იმ გუნდის წევრი ვარ, რომელიც ევროატლანტიკური სივრცისკენ მიდის!..

— მე, როგორც ჟურნალისტს, თქვენს სულიერ სიმშვიდეზე ზრუნვა მევალება?

— არა! ჩემს სულიერ სიმშვიდეზე ჩემი ცხოვრების წესით უნდა ვიზრუნო და სხვას ვერავის დავავალდებულებ.

— პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი, მინიმუმ, 5 ათასი ადამიანია...

— გასაგებია, მაგრამ იმ პოლიტიკოსთაგანი ვარ, რომელზეც „ქართული ოცნება“ ჩემს რაიონში გარკვეულ ფსონს დებდა.

— შეიძლება, მაგრამ ვანის მაჟორიტარად არ დაგასახელეს...

— მერე რაღაცები შეიცვალა...

— დავით საგანელიძე გებრძოდათ, არა?

— მთელმა საქართველომ იცის, რომ ჩემსა და საგანელიძეს შორის აღმატებული დამოკიდებულება არ იყო. სხვათა შორის, არჩევნებამდე სამი-ოთხი თვით ადრე ვამბობდი, რომ „ქართული ოცნება“ ვანში არჩევნებს წააგებდა...

— ...დეპუტატის ხელფასი, თუ არ ვცდები, 2 ათასი ლარია. გყოფნით?

— რა თქმა უნდა, მყოფნის. მოსახლეობას ბევრად ნაკლები შემოსავალი აქვს, ოჯახს ინახავს და ჩემგან ხელფასზე წუწუნი სრული არაკაცობა იქნება.

— ხალხის მდგომარეობა უარესდება და ამის გამო თავს დამნაშავედ არ გრძნობთ?

— ეს თქვენი შეფასებაა და ვერ დაგეთანხმებით!

— მეც ხალხი ვარ, ბატონო დათო — დენის გადასახადი გამიძვირდა და რას ქვია, ვერ დამეთანხმებით?!

— საწუწუნო არ გაქვთ: მოთხოვნადი ჟურნალისტი ხართ და დარწმუნებული ვარ, საინტერესო ანაზღაურებაც გექნებათ!

— ესე იგი, ცხოვრების გაძვირება უნდა მიხაროდეს?

— არა, მაგრამ სახელმწიფო ცხოვრებაში არის რეალობა — ის ქვეყანა ვართ, სადაც ბევრი რამ საერთაშორისო საკითხებზეა დამოკიდებული...

— ...საქმე საქმეზე რომ მიდგეს, შეგიძლიათ, ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილი გააკრიტიკოთ და წინააღმდეგობა გაუწიოთ?

— ჯერ ერთი, ვერ ვხვდები, რატომ უნდათ, რომ ბიძინა ივანიშვილს არავინ არაფერი კითხოს. მან რეჟიმის გაშვებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა და საზოგადოების დიდი ნაწილი ძალიან მადლობელია...

— ივანიშვილი რომ არა, თქვენ და ბევრი თქვენი კოლეგა, დეპუტატი გახდებოდა?

— იმ მოცემულობაში დეპუტატი, რა თქმა უნდა, ვერ გავხდებოდი, რადგან ნაცმოძრაობა უკვდავად და მარადჟამს იქნებოდა. ნაციონალებთან თანხმობა რომ მდომებოდა, 1995 წლიდან, ჩემზე ახლოს არავინ იცნობდა, მაგრამ ეს არ გავაკეთე...

— რამდენი შვილი გყავთ?

— ორი ვაჟკაცი — 11 და 7 წლის.

— სიკვდილის გეშინიათ?

— არა...

— სარკეში რომ იხედებით, საკუთარი თავი მოგწონთ?

— ერთი, ჩვეულებრივი ქართველი ვაჟკაცი ვარ...

— თმას რატომ არ ინერგავთ? მე გადავინერგე და შემიძლია, „თალიზში“ გიშუამდგომლოთ!

— არ მინდა... თმის პრობლემა არ მაქვს...

— ეწევით?

— არა... ქართულ ღვინოს ვსვამ და ჯანსაღი ცხოვრების წესს ვეწევი — სპორტი...

— დუდუკი და ქალები, არა?

— უარს არც მაგაზე ვამბობ...

— ეს აღარ გაიმეოროთ: ხომ იცით, თქვენს ლიდერს არ მოსწონს, ოჯახს რომ ღალატობენ!

— ის მომწონს, როცა ქალები მღერიან...

— კიდევ ორ კითხვას დაგისვამთ და მერე, სელფი გადავიღოთ: აშშ გვრყვნის და ქართველობას გვართმევს?

— ყველა ადამიანი თავის თავს თვითონ რყვნის.

— იბიარდზე ნამყოფი ხართ?

— იბიარდის კონფერენციაზე ვიყავი...

— ვითომ ვერ მიხვდით, რას გეუბნებით...

— (იცინის) ვერ მივხვდი...

— „ოცნების“ ენა უნდა იცოდეთ!.. ახლა, რამე თქვენც მკითხეთ...

— ინტერვიუთი კმაყოფილი ხართ?

— კმაყოფილი მაშინ ვიქნები, გამოქვეყნების მერე თუ არ დამირეკავთ და არ მაგინებთ...

— არ გაგინებთ, მაგრამ...

— „სტრელკას“ დამინიშნავთ?

— არა... ისეთ რამეს ნუ დაწერთ...

— სათაურად თქვენს ფრაზას გამოვიტან...

— შეიძლება, ისეთი ფრაზა ვიპოვო, რომ კაცს კაცი მოვაკვლევინო...

— კარგი, სათაურს პიჯაკზე გავაკეთებ...

— პიჯაკი ის თემაა, რომელიც სიამოვნებას არ მანიჭებს...

— პიარი თუ გინდათ, დამიქირავეთ და გაგაპიარებთ!

— კეთილგანწყობის მარცვალი დავინახე, თორემ როგორც გინდათ, ისე გააკეთეთ...

— ხომ არ ნანობთ, რომ შეხვედრაზე დამთანხმდით?

— არა, პირიქით!

— კარგი, მადლობა და წარმატებებს გისურვებთ, დათო ბატონო!

აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე საქართველოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიათასობით დოლარი ირიცხება

თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) საქართველოდან აშშ-ს ლობისტური კომპანიებისთვის (2008-2015 წწ.) გადარიცხული თანხების ანალიზს აკეთებს. არასამთავრობო ორგანიზაციის ცნობით, სამი ყველაზე მსხვილი აქტორი, ვინც აშშ-ში ლობისტურ საქმიანობას ეწეოდა, საქართველოს მთავრობა, ეროვნული უშიშროების საბჭო და ბიძინა ივანიშვილია.

არავისთვის უცხო არ არის ის, რომ ლობისტური საქმიანობის მიზანია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა. გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველოა. საქართველოს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ). შესაბამისად, აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნიდან ასობით ათასი აშშ დოლარი ირიცხება.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) დიდი ხნის მანძილზე აკვირდება აშშ-ში საქართველოს ლობისტურ საქმიანობას და გთავაზობთ ანალიტიკური სტატიების სერიას ამ თემაზე. აღნიშნული კვლევისთვის IDFI იყენებს შემდეგ წყაროებს: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები, www.fara.gov-ზე არსებული მონაცემთა ბაზა და ასევე ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია Sunlight Foundation-ის პროექტ Influence Explorer-ის ფარგლებში შექმნილი მონაცემთა ბაზა.

აღნიშნული კვლევისთვის პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“ ფარგლებში IDFI-მ 2014 წლის 18 ივლისს გაუგზავნა სამი წერილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და საქართველოს მთავრობის კანცელარიას. IDFI თითოეული დაწესებულებიდან ითხოვდა აშშ-ს ლობისტურ კომპანიებთან და ასევე სხვა უცხო ქვეყნებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლებს 2008-2013 წლებისთვის.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოდან 2014 წლის 24 ივლისს მიღებული პასუხის თანახმად, ლობისტურ საქმიანობებთან დაკავშირებით უცხო ქვეყნის კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ხოლო საჯარო სახით ხელმისაწვდომია მხოლოდ ის ხელშეკრულებები, რომლებიც განსაიდუმლოვდა ეროვნული უშიშროების საბჭოს 2010 წლის 1 ივლისის 8-გ/მ სხდომის ოქმის რეკომენდაციისა და უშიშროების საბჭოს მდივნის 2012 წლის 5 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე, სულ 22 ხელშეკრულება. თუმცა, ამ პასუხშივეა აღნიშნული, რომ ხელშეკრულებების ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე www.fara.gov.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, მიუხედავად იმისა, რომ IDFI 2014 წლის 18 ივლისს გაგზავნილი წერილით ითხოვდა 2008-2013 წლებში ლობისტურ კომპანიებთან საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების ასლებს, ინსტიტუტმა პასუხად მიიღო მხოლოდ 2006 წელს გაფორმებული ორი ხელშეკრულება, რომლებიც განსაიდუმლოვდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 სექტემბრის №27 განკარგულებით.

ხოლო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ მათთან მოთხოვნილი ინფორმაცია დაცული არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ ლობისტური საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის პრაქტიკა საქართველოსა და აშშ-ში კარდინალურად განსხვავებულია. თუკი საქართველოში ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტიდან ლობისტურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში, განსაიდუმლოების შემდეგ ხდება საჯაროდ ხელმისაწვდომი, აშშ-ში 1938 წლიდან მოქმედი კანონმდებლობით (The Foreign Agents Registration Act, FARA) ყველა მონაცემი, რაც უკავშირდება უცხო ქვეყნებიდან ამერიკაში მოქმედ ლობისტურ კომპანიებთან ურთიერთობის საკითხებს, უნდა იყოს ხელმისაწვდომი და საჯარო. აღნიშნული აქტის მიხედვით ლობისტური კომპანიები ან პირები არა მხოლოდ არეგისტრირებენ საკუთარ კავშირებს სხვა ქვეყნებთან და ასაჯაროებენ დადებულ ხელშეკრულებებს, არამედ ყოველ ექვს თვეში ერთხელ ანახლებენ ინფორმაციას გაწეული მომსახურებისა და მიღებული საფასურის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული აქტის ფარგლებში აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.fara.gov განთავსებულია როგორც აშშ-ს კონგრესისთვის წარდგენილი 6-თვიანი ანგარიშები, ისე ლობისტური კომპანიების საქმიანობის დოკუმენტაციის მონაცემთა ბაზა.

კონგრესისთვის წარდგენილი ანგარიშებიდან შესაძლებელია ამომწურავი ინფორმაციის მიღება, თუ რომელი ქვეყანა ან იურიდიული პირი, რომელი კომპანიების საშუალებით ახორციელებს ლობისტურ საქმიანობას აშშ-ში. სწორედ ამ ანგარიშებიდან ირკვევა, რომ საქართველო აშშ-ში ლობისტურ საქმიანობას ეწევა 1991 წლიდან. მაშინ ერთადერთი კონტრაქტი საქართველოს გაფორმებული ქონდა John Adams Associates-თან და აქტივობები მოიცავდა საქართველოს მთავრობისთვის კონსულტაციების გაწევას აშშ-ს კერძო და საჯარო სექტორებთან ურთიერთობის ფარგლებში, ასევე დახმარებას ვაჭრობის, ტურიზმის, მარკეტინგისა და სხვა სფეროებში. გარდა ამ დახმარებისა, კომპანიამ საკუთარ ოფისში გახსნა საქართველოს საინფორმაციო ცენტრი. გაწეული მომსახურებისთვის საქართველოს მთავრობამ კომპანიას 1991 წლის დეკემბერში გადაუხადა 132,000 აშშ დოლარი.



საქართველოს ლობისტური საქმიანობა აშშ-ში არსებული ღია წყაროების საფუძველზე IDFI-ის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი საქართველოს (როგორც სახელმწიფო, ისე ფიზიკური და იურიდიული პირების) ლობისტური საქმიანობა აშშ-ში 2008 წლიდან დღემდე. ამ პერიოდში საქართველოდან სულ 9 დაწესებულება/პირი იღებდა აშშ-ში ლობისტური კომპანიების მომსახურებას.

1. საქართველოს მთავრობა
2. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
3. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო
4. საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატი
5. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
7. ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება და თავისუფალი დემოკრატები
8. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა



9. სალომე ზურაბიშვილის საინიციატივო ჯგუფი.

აღნიშნული დაწესებულებებისა და პირების ინტერესების წარმოსაჩენად 2008-2015 წლებში დაქირავებული იყო სულ 19 სხვადასხვა ლობისტური კომპანია და მათი ქვეკონტრაქტორი. მათ შორის აგრეთვე ლობისტად დარეგისტრირებული იყო თედო ჯაფარიძე, რომელიც 2012 წლის არჩევნების შემდეგ „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ პარტიული სიით გახდა პარლამენტის წევრი.

როგორც აშშ-ს კონგრესისთვის წარდგენილი ანგარიშებიდან ირკვევა, 2008-2015 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე სულ დაიხარჯა 9,585,115.04 აშშ დოლარი, ხოლო სხვადასხვა კერძო პირებისა და პარტიების მიერ იმავე პერიოდში დაიხარჯა 5,270,490.09 აშშ დოლარი.

როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკიდან აშკარაა, ჯამურად წლის მანძილზე ყველაზე დიდი რაოდენობის თანხა, 7.2 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა 2012 წელს.აღნიშნული მეტწილად განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ საქართველოში ამ პერიოდში საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება მიმდინარეობდა და სახელმწიფო უწყებებთან ერთად ლობისტური საქმიანობის დაფინანსებაზე ხარჯები გაწია ასევე ბიძინა ივანიშვილმა და მისმა პოლიტიკურმა ჯგუფმა.

ამ წლების განმავლობაში გამოიკვეთა სამი ყველაზე მსხვილი აქტორი, ვინც აშშ-ში ლობისტურ საქმიანობას ეწეოდა: საქართველოს მთავრობა, ეროვნული უშიშროების საბჭო და ბიძინა ივანიშვილი, რომლებზეც ჯამურად მოდის 2008-2015 წლებში გადახდილი მთლიანი თანხის 98%, ანუ 14,6 მლნ აშშ დოლარი.

აღნიშნული სამი მსხვილი მოთამაშის მიერ წლების განმავლობაში აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები მოცემულია ქვევით გრაფიკზე:

როგორც ზემოთ წარმოდგენილი გრაფიკიდან თვალნათლივ ჩანს, ერთი წლის მანძილზე ყველაზე მეტი თანხა 2008 წლიდან დღემდე გადახდილი აქვს ბიძინა ივანიშვილს. თუმცა, ბიძინა ივანიშვილმა ლობისტური საქმიანობა დაიწყო მხოლოდ 2011 წლის ბოლოდან (როდესაც პოლიტიკაში მოსვლა დააანონსა) და შეწყვიტა 2012 წელს. რაც შეეხება საბიუჯეტო სახსრების მიმართვას ლობისტურ საქმიანობაზე, მოცემული წლების განმავლობაში ჯამურად ყველაზე დიდი თანხა 6,6 მლნ აშშ დოლარი გადახდილი იქნა ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ.

ზემოთ მოცემული სამი მსხვილი მოთამაშის გარდა, დარჩენილი 1,8 მლნ აშშ დოლარი ამ წლების განმავლობაში 6 მოთამაშეზე ნაწილდება (პრემიერ-მინისტრის აპარატი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, სალომე ზურაბიშვილი).

პრემიერ-მინისტრის აპარატის, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაში ლობისტური კომპანიების ძირითადი საქმიანობები მოიცავდა საქართველოს ოფიციალური პირების შეხვედრების ორგანიზებას, საქართველოს შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, აშშ-ს მედიასთან ურთიერთობას, საქართველოს თავდაცვითი და საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ დისკუსიების ორგანიზებას და ა.შ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემთხვევაში 2011-2012 წლებში ლობისტური კომპანიისთვის გადარიცხული თანხები ძირითადად მოხმარდა პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ (Teach and Learn with Georgia) შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. პროექტი, რომელიც 2010 წელს დაიწყო, გულისხმობდა საქართველოში ინგლისური ენის მოხალისე მასწავლებლების ჩამოყვანას. ლობისტური კომპანიის დახმარებით განათლების სამინისტრომ პროექტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა როგორც აშშ-ს მედიას, ისე სენატორებსა და კონგრესმენებს. აღნიშნულ საქმიანობებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2011 წელს გადაიხადა 20,000 აშშ დოლარი, ხოლო 2012 წელს – 50,041.7 აშშ დოლარი, სულ – 70,041.70 აშშ დოლარი.

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ლობისტური კომპანია ეხმარებოდა პარტიის მოსაზრებების, მიზნების, პოზიციებისა და პროგრამების აშშ-ს ისეთ აუდიტორიამდე მიწოდებაში, როგორიცაა კონგრესის წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებები ა.შ. ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, 2014 წელს ერთიანმა ნაციონალურმა

აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე საქართველოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიათასობით დოლარი ირიცხება

მოძრაობამ აშშ-ში განხორციელებულ ლობისტურ საქმიანობაზე გაწია 42,000 აშშ დოლარის ხარჯი.

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, მისი ლობისტური საქმიანობა დაახლოებით 10 დღეს მოიცავდა 2013 წლის აგვისტოს ბოლოდან. სწორედ ამ პერიოდში სალომე ზურაბიშვილი აპირებდა საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, თუმცა ორმაგი მოქალაქეობის გამო 2013 წლის სექტემბრის დასაწყისში ცესკო-მ მისი კანდიდატურის დარეგისტრირებაზე უარი განაცხადა და ამავდროულად შეწყდა მისი აშშ-ში ლობისტური საქმიანობაც. სალომე ზურაბიშვილმა ლობისტურ საქმიანობაზე 2013 წლის აგვისტოდან სექტემბრის დასაწყისამდე გაწია 6,000 აშშ დოლარის ხარჯი.

განსაკუთრებით საინტერესოა სახელმწიფო ბიუჯეტიდან



გადარიცხული თანხების შედარება 2012 არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ. როგორც ხელმისაწვდომი მონაცემებიდან ირკვევა, 2012 წლის არჩევნებამდე 2,73-ჯერ მეტი საბიუჯეტო თანხა იხარჯებოდა აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე, ვიდრე არჩევნების შემდეგ.

ასევე საინტერესოა, რომ ხელისუფლების შეცვლამდე ლობისტურ საქმიანობაში ჩართული იყო გაცილებით მეტი სახელმწიფო სტრუქტურა – საქართველოს მთავრობის გარდა, ლობისტურ კომპანიებს თანხებს ურიცხავდნენ ეროვნული უშიშროების საბჭო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, პრემიერ-მინისტრის აპარატი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და თავდაცვის სამინისტრო. ხოლო არჩევნების შემდეგ, ლობისტურ საქმიანობაზე მხოლოდ საქართველოს მთავრობას აქვს გადარიცხული თანხები.



საინტერესოა, რომ როგორც www.fara.gov-ზე ხელმისაწვდომი დოკუმენტებიდან ირკვევა, 2012 წელს იყო გაფორმებული კიდევ ორი ხელშეკრულება – საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის მიერ 320,000 აშშ დოლარის ოდენობით და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 200,000 აშშ დოლარის ოდენობით. თუმცა, როგორც ბაზაშია მითითებული, ორივე კონტრაქტი მცირე ხანში გაუქმდა, და აღნიშნული თანხების შესახებ არც ანგარიშებშია ნახსენები რაიმე.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს ერთ-ერთი ლობისტური კომპანიის, Gregory A. Maniatis-ის ქვეკონტრაქტორი კომპანია Fianna Strategies ახორციელებდა ლობისტურ საქმიანობას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხარდასაჭერად, რისთვისაც თანხები მიიღო Gregory A. Maniatis-გან, თუმცა თავად Gregory A. Maniatis ფინანსდებოდა ეროვნული უშიშროების საბჭოდან.

როგორც FARA-ს მონაცემებით ირკვევა, აშშ-ში ლობისტური საქმიანობით სარგებლობდნენ ასევე სეპარატისტული აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მთავრობები. ხელშეკრულებების გაცნობის შედეგად ცხადი ხდება, რომ სეპარატისტული რეჟიმების ლობისტური კამპანიები მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგოდ. სულ 2009-2011 წლებში გაწეული ლობისტური მომსახურებისთვის აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას გადახდილი აქვს 430,000 აშშ დოლარი, ხოლო „სამხრეთ ოსეთს“ იმავე პერიოდში – 457,850 აშშ დოლარი.

დასკვნა

როგორც ზემოთ მოცემული ანალიზი ცხადყოფს, აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიათასობით აშშ დოლარი ირიცხება, რის შესახებ ინფორმაციაც საქართველოში ფაქტობრივად ხელმიუწვდომელია. რასაკვირველია, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა დავის საგანს წარმოადგენდეს, თუ რამდენად საჯარო უნდა იყოს ქვეყნის ლობისტურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები. თუმცა, აშშ-ს უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის მაგალითზე შეიძლება რამდენიმე არგუმენტის მოყვანა მეტი საჯაროობის სასარგებლოდ.

ათეულობით დოკუმენტის შესწავლის შედეგად თამამად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომი დოკუმენტები (კონტრაქტები, გადარიცხული თანხების რეესტრი, განხორციელებული აქტივობების აღწერილობა) უმეტესწილად არ შეიცავს ისეთ სენსიტიურ ინფორმაციას, რომლის გასაჯაროებაც საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს ზიანს მიაყენებდა. ინფორმაცია მოცემულია განზოგადებული სახით, მაგ. მითითებულია შეხვედრებში მონაწილე პირები და ზოგადი მიზნები ან თემები, როგორიცაა „ურთიერთობა საქართველოსა და აშშ-ს შორის“ ან „საქართველოში მიმდინარე არჩევნები“, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული საკითხები და შედეგები. იშვიათ შემთხვევებში მოცემულია დაგზავნილი პრესრელიზების ან ოფიციალური წერილების ნიმუშები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს IDFI წერდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული 2012 წელს საზღვარგარეთის ქვედანაყოფებში განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშების შესახებ. აღნიშნულ ანგარიშებში სხვა დარღვევებს შორის იყო აგრეთვე გაურკვეველი ლობისტების თანხის სახით 2006 წელს გადარიცხული 120 000 აშშ დოლარი. სწორედ მსგავსი დარღვევების თავიდან აცილებისთვისაა მნიშვნელოვანი მეტი პროაქტიული გამჭვირვალობა.

ამას გარდა, გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-ში ლობისტური საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაცია უკვე დიდი ხანია ხელმისაწვდომია ღია წყაროების სახით, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამ ინფორმაციის დამალვა აზრს მოკლებულია. ამავე პოზიციას ამყარებს IDFI-ის მიერ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოდან მიღებული პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ ის ინფორმაცია, რაც გასაიდუმლოებულია საქართველოში, ხელმისაწვდომია აშშ-ს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში www.fara.gov.

„ინტერ-რაო ეესი“ საქართველოს არ დატოვებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ინტერ-რაო ეესის“ ხელმძღვანელები, რომლებიც თბილისში ვიზიტად იმყოფებოდნენ, 8 ოქტომბერს, სასტუმრო „რედისონში“ ქართველ და რუს ჟურნალისტებს შეხვდნენ. „ინტერ-რაო ეესის“ წარმომადგენლებმა საქართველოში მიმდინარე და განხორციელებული პროექტები შეაჯამეს და ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს. შეხვედრას „თელასის“ გენერალური დირექტორი, სერგეი კობცევი, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, კახა კალაძე და მინისტრის მოადგილეები ესწრებოდნენ.

„ინტერ-რაო ეესის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, სტრატეგიისა და ინვესტიციების მიმართულების ხელმძღვანელმა, **ილნარ მერსიაპოვმა** განაცხადა, რომ თბილისში, კომპანია „თელასი“, რომლის აქციათა 75%-ს „ინტერ-რაო ეესი“ ფლობს, მომგებიანია. მისი თქმით, „ინტერ-რაოსთვის“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ როგორ ვითარდება საქართველო წლიდან წლამდე და როგორ იზრდება მისი საინვესტიციო მომხიბვლელობა: **„თუმცა არ გვსურს, არსებული მიღწევებით დავკმაყოფილდეთ და ამიტომ იმ ბაზრების ოპტიმიზაციას ვახორციელებთ, სადაც „ინტერ-რაო ეესია“ წარმოდგენილი. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია ახალ ბაზრებზე გასვლა, რისთვისაც წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებით ვხელმძღვანელობთ. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს გავლით, თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი. რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს, ჩვენი საქმიანობა ამ ქვეყანაში კარგად ვითარდება და ამიტომ კიდევ ორი აქტივი შევიძინეთ. ვფიქრობთ, ჩვენს საქმიანობას უფრო გავაფართოებთ“.**

ქართველ და რუს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, ილნარ მერსიაპოვი სომხური მედიით გავრცელებულ ინფორმაციასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „ინტერ-რაო“ სომხეთის ბაზრის დატოვებას მართლაც აპირებს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კომპანია საქართველოდანაც წავა: **„რაც შეეხება საქართველოს, კმაყოფილი ვართ მდგომარეობით. რა თქმა უნდა, ესა თუ ის ნიუანსი მემორანდუმის ფარგლებში იცვლება, რომელიც ორი მხარის თანამშრომლობას განსაზღვრავს, მაგალითად, ბოლო დროს, ტარიფის აწევამ მოგების მარჟა შეგვიმცირა, მაგრამ ეს გარდაუვალი იყო. ასე რომ, საქართველოს ბაზრის დატოვება თავში აზრადაც კი არ მოგვსვლია, რადგან აქ ყველაფერი კარგად ფუნქციონირებს. ჩვენ ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი, რომელსაც მხარეები იცავენ, ამიტომ ჩვენი მხრიდან, ეს სწორი სვლა არ იქნება“.**

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი **კახა კალაძე,** თბილისში კომპანია „თელასის“ საქმიანობას დადებითად აფასებს. მისი თქმით, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა სტრატეგიული მიმართულებაა. ამ მიზნით, ბუნებრივი რესურსები, რომლითაც საქართველო მდიდარია, სრულადაა ასათვისებელი. რაც შეეხება „ინტერ-რაო ეესს“, კალაძის თქმით, ეს კომპანია ელექტროენერგიის ძირითადი მომწოდებელი და სტრატეგიული პარტნიორია: **„ძალიან საინტერესოა ის ხედვა, რომელიც კომპანიას გააჩნია. „თელასი“ ჩვენთვის მნიშვნელოვანი კომპანიაა, რომელიც დედაქალაქის მოსახლეობას ელექტროენერგიას აწვდის. სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, რომ მისი გამართული და კარგი მუშაობა, თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია“.**

„ვერსიის“ კითხვაზე, როგორ ემზადება ენერგეტიკის სამინისტრო ზამთრის სეზონისთვის განსაკუთრებით ახლა, როდესაც ენერგოტარიფები გაძვირდა, კახა კალაძემ უპასუხა, რომ გაზაფხულსა და ზაფხულში ქსელების რეაბილიტაციის მიზნით, სერიოზული სამუშაოები ჩატარდა. თუმცა ეს სამუშაოები ფართომასშტაბიანი არ ყოფილა, რადგან დოლარის გამყარებამ კომპანიებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა: **„მიუხედავად ამისა, ზამთრისთვის ვემზადებით და აშკარად გადაჭარბებული იყო ხმები ელექტროენერგიის გრაფიკთან დაკავშირებით. ეს იყო ჩვენი ოპონენტების პოპულისტური განცხადებები და დეზინფორმაცია, რადგან წარსულში არასოდეს დავბრუნდებით! პირიქით, საქართველოს მთავრობა და ენერგეტიკის სამინისტრო ყველაფერს აკეთებს, რათა ქვეყანა ენერგოდამოუკიდებელი გახდეს, რათა ელექტროენერგიის ექსპორტი გავზარდოთ თურქეთში, იქიდან კი ევროპაში“.**

1.1.სატყორცნი იარაღი ვეშაპებზე სანადიროდ
2. უმოქმედობა, უძრაობა ლათინურად
3. გერმანელი ფილოსოფოსი
4. „სევილიელი დალაქის“ კომპოზიტ.
5. დრამატურგი ... შექსპირი
6. დატოტვილრქებიანი ცხოველი
7.იგივეა, რაც აფრა
8. სოფელი ცხინვალთან
9.სანახაობითი დაწესებულება
10. სპარტის მეფეთა სახელი
11.ფრჩხილის ლაქის მოსაცილებ. სითხე
12. საქართველოს დედაქალაქი
13. ჰიროსიმას „კოლეგა“ ქალაქი
14.აზრის იგავურად გამოხატვა ხელოვნებაში
15. მშვენიერი ელენეს ქმარი
16. უკრაინის პარლამენტი
17.შოტლანდიური ნაგაზი
18. ქიმიური ელემენტი, ლითონი
19. კოლუმბის აღმოჩენა
20.გადაჭარბებული თავმოყვარეობა
21. საბერძნეთის დედაქალაქი
22. მექსიკური მცენარე
23. ფუჭი, უშედეგო
24. მაუგლის გამზრდელი მგელი
25.ახალზელანდიური მგალობელი ფრინველი
26.ფეხბურთელის ფეხსაცმელი
27.წილი საერთო საქმეში
28. ისრის წვერი
29. ძაღლის ჯიში
30.რბილი თეთრი კირქვა
31.სინათლის სიკაშკაშის საზომი ერთეული
32. წამლის ბურთულა
33.აღმოსავლური ზღაპრების პერსონაჟი
34. თურქეთის საკურორტო ქალაქი
35. იაპონური საათების ფირმა
36.სავაჭრო ქარავნების გასაჩერებ. ადგილი
37.მულტსერიალი „..., დამცადე!“
38.კათოლიკეთა მღვდელი პოლონეთში
39. მარკნის კუნძული
40.ქართველთა სასალხო გმირი
41.მუსიკ. გამის V ნოტი
42.დაისის საპირისპირო
43.ქალ. ირანში
44.მაუგლის პითონი
45. შიშველი სხეული ფერწერაში
46. მოლდოვას ვალუტა
47. ნაპოლეონის მარშალი
48. ყალბი, ფალსიფიცირებული
49. წყნარი ამინდი ზღვაზე
50.პატარა ტყე მინდორში
51. მტაცებელი ფრინველი
52. მუსლიმანი, რომელსაც ფანატიკურად სძულს ყველა „ურჯული“
53. ბულგარელი ნათელმხილველი
54.ინგლ. მწერალი ივლინ ...
55. უდიდესი სეიშელის კუნძულებში
56. ბრაზილიელი სუპერმოდელი ადრიანა ...
57. იაპონიის უდიდესი ტბა
58.ბიბლ. ყაჩაღი
59.წყლის ტრანსპ.
60. ისტ. რეგიონი ნილოსის დაბლობზე
61. რუსეთის მრისხანე მეფე
62. სისხლის გაწმენდის პროცედურა
63.ინდიელთა ტომი
64.შლამის თევზი
65. თმის მცენარეული საღებავი
66. არაბული ფლეიტა

სიმღერები, რომელიც გვაბედნიერებს

ჰოლანდიელმა სწავლულებმა გრონინგენის უნივერსიტეტიდან სპეციალური ფორმულა გამოიყვანეს, რომელიც აფასებს მუსიკის გავლენას მსმენელის ემოციურ მდგომარეობაზე. მათი თქმით, ბედნიერების აუცილებელი დონის მისაღწევად საჭიროა, ისეთ სიმღერას მოუსმინოთ, რომელიც სამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: სიმღერის ტემპი უნდა იყოს 150 დარტყმა წუთში, ტექსტში დადებითი სიტყვები უნდა იყოს გამოყენებული და რასაკვირველია, გამა — მაჟორული. ამ კრიტერიუმებით მკვლევარებმა მსოფლიო საესტრადო კლასიკა შეაფასეს და „ბედნიერების კომპოზიციების“ ტოპ-ათეულიც შეადგინეს. პირველი ადგილი Queen-ის კომპოზიციამ Don't Stop Me Now მოიპოვა, მეორე საფეხურზე ლეგენდარული ABBA-ს Dancing Queen-ია, მესამე ადგილზე კი Beach Boys -ის Good Vibrations-ია. ათეულში მოხვდა, ასევე, Survivor-ის Eye Of The Tiger, სინდი ლოპერის Girls Just Wanna Have Fun და ცნობილი ჰიტი I Will Survive გლორია გეინორის შესრულებით.

სმარტფონებს „ჰაერიდან“ დატენით



დიდი ბრიტანეთის მეცნიერების ექსმინისტრმა, ლორდმა პოლ დრეისონმა Freevolt-ის ტექნოლოგია წარმოადგინა, რომლის მეშვეობითაც გაჯეტები რადიოსიხშირული ტალღებიდან შთანთქავს ენერგიას. ახლა აღარ იქნება საჭირო სმარტფონის ან პლანშეტის ქსელში ჩართვა ან ბატარეების გამოყენება. Freevolt-ის არსი უსადენო ქსელების გამოსხივებიდან (WiFi, 2G, 3G, 4G და ციფრული ტელევიზიიდანაც) ენერგიის მოპოვებაში მდგომარეობს. ამისთვის გამოიყენება მიმღები უამრავი ანტენით. დრეისონმა პირველი პროდუქტიც წარმოადგინა, რომელიც ამგვარად იმუხტება. ეს გადამცემი CleanSpace-ია, რომელიც მუდმივ რეჟიმში გარემოს დაბინძურების დონეს ზომავს.

შვედები 6-საათიან სამუშაო დღეზე გადადიან

შვედური კომპანიები, ნაცვლად სტანდრტული 8-საათიანი სამუშაო დღისა, ერთმანეთის მიყოლებით გადადიან 6-საათიან სამუშაოზე. კომპანია Filimundus, რომელიც მობილური ტელეფონებისთვის ქმნის პროგრამებს, უკვე ერთი წელია, ამ რეჟიმში მუშაობს. ფირმის ხელმძღვანელობა მხოლოდ რეკომენდაციას აძლევს თანამშრომლებს, რომ სამსახურში არ გაერთონ სოციალური ქსელებით და შეამცირონ სამუშაო თათბირების რაოდენობა. კომპანიის დირექტორის თქმით, ადამიანებს ასე უფრო ეადვილებათ მუშაობა, ყურადღება მთლიანად სამუშაოზე გადააქვთ და სახლში დაბრუნებულები არაქათგამოცლილები არ არიან. როგორც ხელმძღვანელი აცხდებს, 8-საათიანი სამუშაო დღე არც ისეთი ეფექტიანია, როგორც გვგონია. ადამიანს ძალიან უჭირს, 8 საათის განმავლობაში ფოკუსირება სამუშაოზე, პირადი ცხოვრებაც მისახედი რჩება და ოჯახთან გასატარებელი დროც აღარ აქვს. 6-საათიანი სამუშაოს შემოღების შემდეგ, კომპანიის თანამშრომლებს ენთუზიაზმიც მოემატათ და სამსახურშიც კონფლიქტი ნაკლებად აქვთ. გასული წლიდან ქალაქ გიოტებორგში ექსპერიმენტის სახით, სახელმწიფო სამსახურებიც მოკლე სამუშაო დღეზე გადავიდნენ.

სუდოკუ

ადვილი

	3		2			6		4
	6	1		5		3		
					4			7
				1		9		
	4		9		3		8	
		8		4				
5			7					
		6		2		7	9	
2		4			9		6	

სტანდარტი

4	5					7		8
9		8		4				
						5		2
		6			4		3	
			3	9	7			
	3		8			4		
3		1						
				8		9		1
2		9					7	3

რთული

			3					9
	7		4	9			6	
		8			5	4		
	4				3			7
	3			6			2	
2			7				3	
		7	5			8		
	1			4	6		5	
8					1			

ექსპერტი

8		9	6		2		5	
		2		9	4			
1								
5								6
			2	1	8			
3								8
								2
			8	5		1		
	3		7		6	5		4

ახალი დელიკატესი წვიმის ქიებით

მატლიანი ორცხობილა ბოლივიის მაღაზიებში სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სანიტარული სამსახური გამოიძახოთ. ეს ახალი დელიკატესია. ამ ქვეყანაში სულ უფრო პოპულარული ხდება საკონდიტრო ნაწარმი, რომელიც წვმის ქიებისგანაა დამზადებული. მისი მწარმოებლები აცხადებენ, რომ პროდუქტი ძალიან მდიდარია ცილით, კალციუმით და ომეგა-3-მჟავებით. ეს არსებები სასოფლო-სამეურნეო ცენტრში გამოჰყავთ, რისთვისაც ბოცვრების ექსკრემენტებსა და პროდუქტის ნარჩენებს იყენებენ. შემდეგ მატლებს სპეციალურ მარილწყალში ათავსებენ, აშრობენ და ფქვილად აქცევენ. ყოველწლიურად ბოლივიაში 400 ტონა წვიმის მატლს აწარმოებენ, სხვა ინგრედიენტებთან ურევენ და სახამებელს ამატებენ. ბოლივიელები, რომელთაც უკვე დააგემოვნეს ახალი დელიკატესი, ამბობენ, რომ ძალიან არომატულია. ზოგმა ორცხობილა წლის საუკეთესო კულინარიულ გამოგონებადაც დაასახელა.

ჭურჭლის რეცხვა მედიცაციაა

როგორც აღმოჩნდა, ეს უბრალო საოჯახო საქმე დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. კერძოდ, ჭურჭლის რეცხვა ხსნის სტრესს, ამშვიდებს ადამიანს და განწონასწორებულს ხდის. ასეთი დასკვნები დადეს ამერიკელმა სწავლულებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან. მათ ექსპერიმენტში მონაწილე მოხალისეებს შესთავაზეს, ჩუმად გაერეცხათ ჭურჭელი და მაქსიმალური კონცენტრაცია მოეხდინათ ამ პროცესზე. ყველაზე გულმოდგინე მონაწილეებმა მართლაც აღნიშნეს ნევროზულობისა და სტრესის მნიშვნელოვანი კლება. ფსიქოლოგი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თეფშების რეცხვა ადამიანს საშუალებას აძლევს, ჩაუღრმავდეს საკუთარ ფიქრებსა და განცდებს.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	3	4	9	2	8	5	7	6
2	9	8	5	6	7	4	3	1
7	6	5	1	4	3	2	9	8
5	8	7	2	3	6	1	4	9
9	4	6	8	1	5	7	2	3
3	2	1	7	9	4	8	6	5
8	7	3	6	5	2	9	1	4
6	1	2	4	8	9	3	5	7
4	5	9	3	7	1	6	8	2

სტანდარტი

6	2	9	5	1	4	3	8	7
1	8	7	9	6	3	4	5	2
5	4	3	2	8	7	6	1	9
4	3	5	8	2	1	9	7	6
7	6	2	4	5	9	1	3	8
9	1	8	3	7	6	2	4	5
8	9	6	1	4	5	7	2	3
3	5	4	7	9	2	8	6	1
2	7	1	6	3	8	5	9	4

რთული

2	5	6	1	7	4	3	9	8
4	1	9	3	6	8	7	2	5
3	8	7	2	5	9	1	6	4
8	2	5	7	1	6	9	4	3
7	9	4	8	3	5	2	1	6
6	3	1	9	4	2	8	5	7
5	7	8	4	9	1	6	3	2
1	6	3	5	2	7	4	8	9
9	4	2	6	8	3	5	7	1

ექსპერტი

7	5	4	1	3	2	9	6	8
6	9	2	8	7	5	4	3	1
1	8	3	9	6	4	7	5	2
3	2	1	5	9	7	8	4	6
5	6	9	4	8	3	2	1	7
4	7	8	6	2	1	5	9	3
9	4	7	3	1	8	6	2	5
2	3	6	7	5	9	1	8	4
8	1	5	2	4	6	3	7	9

მე-9 გვერდი: 1. დესანტი; 2. ბარენცი; 3. დედა; 4. „სამაია“; 5. ნარმანია; 6. ისპანახი; 7. ბადრი; 8. რანჩო; 9. ნამჯა; 10. ისანი; 11. ფირმანი; 12. მაია; 13. ვიდიკონი; 14. პირამიდა; 15. ნიავი; 16. ადინამია; 17. მტირალა; 18. ამია; 19. თერმები; 20. ნოსტალგია; 21. ნიანგი; 22. „აიაქსი“; 23. ლიმონათი; 24. სანა; 25. ნოქტიურნი; 26. არაქსი; 27. მუსკია; 28. დიახ; 29. ახო; 30. პოლკა; 31. იავა; 32. პაპაია; 33. ლიიოლა; 34. მიტარბი; 35. ნეაპოლი; 36. პენსი; 37. ლორკა; 38. გინეა; 39. პრიმა; 40. ალა; 41. ოდა; 42. ბრმა; 43. ქალაუ; 44. დია; 45. მედინა; 46. ლენონი; 47. გერინგი; 48. მოა; 49. სალბი; 50. რაია; 51. მი; 52. სნო; 53. ალია; 54. სიმი; 55. მარადია; 56. ბუდა; 57. ცია; 58. სპა; 59. „აიდა“; 60. კარგო; 61. ერგი; 62. ამბიცია; 63. პირსი; 64. ტროა.

მე-10 გვერდი: 1. ბრაკონიერი; 2. ჟირანდოლი; 3. ბლოკნოტი; 4. ალოე; 5. ორუელი; 6. იგუანა; 7. ინდიკატორი; 8. ანგორა; 9. დარტსი; 10. ლუსტრა; 11. ჰონოლულუ; 12. უგანდა; 13. ამიმია; 14. ნალა; 15. დოგარესა; 16. არტემონი; 17. იგრეკი; 18. იბლისი; 19. აბე; 20. ანუ; 21. იმაგო; 22. კირასირი; 23. სატირა; 24. აბი; 25. სენატი; 26. ბერეტი; 27. ერგი; 28. ბაგირა; 29. შტაბი; 30. სოჭი; 31. ნები; 32. იმპალა; 33. ჩირიკი; 34. იანკი; 35. ომბუდსმენი; 36. მიდი; 37. ოდიში; 38. შასლა; 39. იატაგანი; 40. ჭუბერი; 41. იდო; 42. გენი; 43. ოლე; 44. მი; 45. ძუა; 46. დოდე; 47. პონი; 48. დიკლო; 49. ასაკი; 50. პანდა; 51. ლაპი; 52. ანდერძი; 53. დილა; 54. რონინი; 55. ჰაიკუ; 56. ნაი; 57. ბუა; 58. მუნ; 59. ბლუ; 60. ასა; 61. კანოე; 62. ოზი; 63. გეენა; 64. ბრა; 65. ამინ.

მე-12 გვერდი: 1. ფრანკი; 2. რეკეტი; 3. ნარიტა; 4. სკალპი; 5. კოლიტი; 6. ლენინი; 7. აკორდი; 8. ინგლისი; 9. პეტიტი; 10. პლანშე; 11. „ილიადა“; 12. ბენიტო; 13. აპნისი; 14. აზია; 15. მინა; 16. ჰობოი; 17. ბეზე; 18. ბორდო; 19. ჭილი; 20. მულღაზანზარი; 21. აბვერი; 22. ბენისიო დელ ტორო; 23. რიშელიე; 24. ავენტინი; 25. მელპომენე; 26. ტრიო; 27. ნანეტი; 28. თირკმელი; 29. ხოჭო; 30. ოზმა; 31. იუდა; 32. იმამი; 33. ნიშა; 34. ესტონეთი; 35. აირი; 36. ულუსი; 37. ნევა; 38. ბალავაძე; 39. კრამნიკი; 40. დოჰა; 41. რეალია; 42. ნარი; 43. რქა; 44. კორეა; 45. ტარა; 46. მამაი; 47. კოკი; 48. კრამიტი; 49. ჰეროდე; 50. დიდაქტიკა; 51. ბადე; 52. ათინათი; 53. მუტი; 54. იაკუძა; 55. ნანა; 56. გაუდი; 57. არალია; 58. ისრიმი; 59. იაუზა; 60. კრკი; 61. იზმირი; 62. ელე; 63. ასკილი; 64. კაა; 65. თრიაქი; 66. ასტრა; 67. ასი; 68. არა; 69. პან; 70. ონი; 71. „რია“; 72. კუტი; 73. ბალი; 74. ეკი; 75. სერია; 76. ციკლოპი; 77. ურა; 78. ავიზო; 79. აგა; 80. მაო; 81. უნია; 82. შუ; 83. ველ; 84. მაინა; 85. ოშკი; 86. არილი; 87. ნარგილე.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 322942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

გაზეთი „ვერსია“ მწუხარებას გამოთქვამს და უთანაგრძნობს ზურა მეგრელიშვილს დედის გარდაცვალების გამო. უფალმა დაუმკვიდროს საუკუნო სასუფეველი. ამინ!

86 დაღუპული, 186 დაშავებული — ანკარაში ტერორიზმის მსხვერპლთა რაოდენობა გაიზარდა

თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ტერაქტების შედეგად დაღუპულთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. თურქული მედიის ინფორმაციით, ორი აფეთქების შედეგად, ბოლო მონაცემებით, 86 ადამიანი დაიღუპა, 186 კი დაშავდა.

მედიის ინფორმაციით, აფეთქებები თვითმკვლელი ტერორისტების მიერ იყო ორგანიზებული. ტერაქტები სამშვიდობო მიტინგის დაწყებამდე განხორციელდა. აქტივისტები მიტინგის გამართვას „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ მიმართ ძალადობის გასაპროტესტებლად აპირებდნენ.

მომხდარი ტრაგედიის გამო, მწუხარება გამოხატეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და პრეზიდენტმა. მათ დაღუპულების ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადეს.

„პია“

გართობა

1. სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციაში
2. ასდოლარიან კუპიურაზე გამოსახული პოლიტიკოსი
3. ერთ-ერთი უდი-დესი ფრან-გი მწერალი
4. შვლის ნაშიერი
5. მიმართვა იტალიელი ქალბატონისადმი
6. სამთავიანი ძაღლი ბერძნულ მითოლოგიაში
7. საფეიქრო ბანანი
8. მოსკოვის ტელეანძა
9. ფინელი კომპოზიტორი
10. ოთახის დეკორატიული ყვავილი
11. სამაგიდო თამაში
12. ქვეყანა არაბეთის ნახევარკუნძულზე
13. იტალიელთა ტრადიციული ღვეზელი
14. მდინარე რომში
15. ბარსელონას საოპერო თეატრი
16. დასტურის შეძახილი აშშ-ში
17. „... დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“
18. ლომი სიმბას სატრფო
19. კანონზომიერების დარღვევა
20. სივრცეში გასარკვევი საგანი
21. მართლმადიდებელ მამათა დიდი მონასტერი
22. ქალაქი საფრანგეთში
23. იგივეა, რაც შუშა
24. წინასწარი განცხადება
25. მიწაში ამოთხრილი ადგილი
26. ქალაქი, სადაც ვენტმინისტერის სასახლე მდებარ.
27. შემოღობილი ადგილი ცხოველებისათვის
28. ფინეთის ერთ-ერთი უდიდესი ტბა
29. სიმინდის შესანახი ნაგებობა
30. ჰაერზე მსუბუქი საფრენი აპარატი
31. შიიტი მუსლიმების მოძღვარი
32. თურქული ტელესერიალი
33. დიდი სწრაფმავალი ჯავშნოსანი გემი
34. ინდური კობრა
35. უმცირესი ორნიშნა რიცხვი
36. „...-ჭამა დიდად შესარგი“...
37. „ყველაფრის მკურნალი“
38. ანდერსენის ზღვისპირული ქალაქი
39. განის დედაქალაქი
40. იტალიელი მსახიობი ... მანიანი
41. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრ. ორგანიზაცია
42. იგივეა, რაც თაღი
43. შინაური ცხოველი
44. ქამუშაძის სახელი
45. ეტნის ქვეშ მწოლიარე გველეშაპი
46. რამინის სატრფო
47. ქალაქი ჩრდილოეთ თურქეთში
48. ფანდი, ხრიკი
49. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
50. ხურდა ფული შვეიცარიაში
51. ლევ ტოლსტოის მამული „... პოლიანა“
52. სუსტი ქარი, ნიავი
53. მომღერალი ... ჯონსი
54. თხელი საფლობი ტალახი
55. უნარი, მარიფათი
56. „ჰამლეტის“ პერსონაჟი ქალი
57. თურქეთის საკურორტო ქალაქი
58. ვაზის მოკ. აჭრილი წყვილმტევნიანი რქა
59. პირველი ქართველი ქრისტიანი დედოფალი
60. ბოჭკოვანი მცენარე
61. ხაზი სამკუთ. წვეროდან მოპირ. ვერდის შუა წერტ.
62. შავი ობობასებრი მაიმუნი
63. ქართული ანბანის V ასო
64. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
65. ყურძენ იზაბელას მეორე სახელი
66. აგამემნონის მამა
67. ჭაობის მცენარე
68. მსახიობი ... ფარელი
69. იაპონელთა ტრადიციული სასმელი
70. კეთილშობილი მეტალი
71. საბჭოთა იუმორისტი და მსახიობი
72. ბოსნია და ჰერცეგოვინას დედაქალაქი
73. გამადიდებელი შუშა
74. მდინარე ინგლისში, ტემზის შენაკადი
75. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ასული
76. დიდი გარეული ფრინველი
77. მე-8 მუსიკალური ინტერვალი
78. ალექსანდრე გრიბოედოვის კომედია „... ჭკუისაგან“
79. შუა აზიელთა ქეჩის კარავი
80. შეძახილი კონცერტზე
81. ჰიდროტექნ. ნაგებობა
82. მუსლიმ. მოსამართლე აღმოსავლეთის ქვეყნებში
83. რისამე გარკვეული წილი, ულუფა
84. ზურაბ ქაფიან. კინორ. „ხეესურულ ბალადაში“